188
1973

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1978 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი-ოქტომბერი 1973 წ

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75. „სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე.
76. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
77. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 236 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

78. ავტობუსების, ტრამვაის, ტროლეიბუსისა და მეტროპოლიტენის ვაგონების სათადარიგო ნაწილებით საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მომარაგების შესახებ.
79. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 361 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

80. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 მაისის № 353 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

81. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილების მეორე პუნქტში დამატების შეტანის შესახებ.

82. ქ. ქუთაისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

83. საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიანი ზონის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენის შესახებ.

84. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტის შექმნის შესახებ.

85. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიისა და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო დიპლომის დაწესების შესახებ.

86. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

87. საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75 „სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა თაობაზე[1])

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობის მიერ სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დარგში დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა დაძლევისათვის. სასოფლო სკოლამ ახალგაზრდობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში აქტიური მონაწილეობისათვის მისი მომზადების დიდი გამოცდილება შეიძინა.

ამასთანავე სოფლად სასკოლო განათლების ორგანიზაციაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. რესპუბლიკის ბევრ სასოფლო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ვერ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, კვლავ საგრძნობია ბავშვთა განთესვა სკოლებიდან. სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში საკმარისად არ ინერგება სწავლების აქტიური მეთოდები და ტექნიკური საშუალებანი, სრულად არ არის გამოყენებული არსებული შესაძლებლობანი კომუნისტური მორალის, ყოფაქცევის მაღალი კულტურის სულისკვეთებით, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით მოსწავლეთა აღსაზრდელად.

ბევრი სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მოთავსებულია მეცადინეობისათვის შეუფერებელ შენობებში, არა აქვთ საჭირო სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები, სახელოსნოები, სასადილოები, სააქტო და სპორტული დარბაზები, მუშაობენ ორ ცვლად, საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, მეთოდიკური ლიტერატურით, სასწავლო თვალსაჩინოებებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით.

1972/73 სასწავლო წელს საქართველოს სს რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში მუშაობდა 3451 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (1400 დაწყებითი, 1038 რვაწლიანი, 1013 საშუალო), რაც რესპუბლიკის სკოლების მთელი რაოდენობის 81 პროცენტს შეადგენს. სასოფლო სკოლების საერთო რაოდენობიდან დაქირავებულ, ცუდად მოწყობილ და მეცადინეობისათვის გამოუსადეგარ შენობებში განლაგებული იყო 1474 სკოლა (216560 მოსწავლისათვის), მათ შორის

[1]) დანართები არ არის მოყვანილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

603 დაწყებითი სკოლა (11985 მოსწავლისათვის), 514 რვაწლიანი (72163 მოსწავლისათვის) და 357 საშუალო სკოლა (132412 მოსწავლისათვის). სასოფლო საშუალო და რვაწლიან სკოლებში აკლიათ 20 ათასზე მეტი საკლასო ოთახი, 599 ფიზიკის კაბინეტი, 938 ქიმიის კაბინეტი, 1440 ბიოლოგიის კაბინეტი, 468 სახელოსნო, 830 სპორტული დარბაზი, 730 სასადილო და სხვ. ამავე დროს რესპუბლიკაში ამჟამად კონსერვაციაშია 14 ათასი მოსწავლისათვის განკუთვნილი 44 სკოლის მშენებლობა, რაც არაცენტრალიზებული სახსრებით ხორციელდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობასა და მსხვილ კოლმეურნეობაში არ არის საშუალო და რვაწლიანი სკოლები, ბავშვები იძულებული არიან ისწავლონ საცხოვრებელი ადგილიდან შორ მანძილზე განლაგებულ სკოლებში. მოსწავლეთა მიყვანა სკოლებში, აგრეთვე მათი მოვლა-პატრონობა სკოლებთან არსებულ ინტერნატებში დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული. ეს უარყოფითად მოქმედებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშათა და სპეციალისტთა კადრების შენარჩუნებაზე. 1972/73 სასწავლო წელს 61 ათასი მოსწავლიდან, რომლებიც სკოლებიდან 3 კილომეტრზე მეტ მანძილზე ცხოვრობენ, მხოლოდ 5376 ბავშვი იყო უზრუნველყოფილი ადგილებით სასკოლო ინტერნატებში და 21700 მოსწავლე მიჰყავდათ სკოლებში. დანარჩენი მოსწავლეები სასკოლო ინტერნატებში ადგილების უქონლობისა და ტრანსპორტით არაუზრუნველყოფის გამო ქირაობდნენ კერძო ბინებს ან ქვეითად დადიოდნენ სკოლაში. 203 სასკოლო ინტერნატიდან მხოლოდ 96 მოთავსებულია სკოლების კუთვნილ შენობებში, ხოლო დანარჩენი განლაგებულია დაქირავებულ სახლებში. მეტ წილ სასკოლო ინტერნატებს არა აქვთ თვითმომზადების ოთახები, კვების ბლოკების, ტანსაცმლისა და სასწავლო ხელსაწყოთა შესანახი სადგომები, არ ჰყოფნით მაგარი და რბილი ინვენტარი. რესპუბლიკის სასოფლო სკოლები ცუდად არიან უზრუნველყოფილი სასკოლო ნორმატივების მოთხოვნების შესაბამისი ავეჯითა და ინვენტარით, მეტ წილ სკოლებს არა აქვთ სათანადო ზომის მერხები.

ახალი სასკოლო შენობების, ბავშვთა სასკოლო ინტერნატებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა არასაკმარისად მიმდინარეობს, დაბალია სამუშაოთა ხარისხი.

რესპუბლიკის ბევრ რაიონში (ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, გორის, დუშეთის, ზუგდიდის, ქარელის, კასპის, ლანჩხუთის, მარნეულის, მახარაძის, ონის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, თეთრი წყაროს, წალენჯიხისა და სხვ.) ჯეროვნად არ ზრუნავენ მასწავლებელთათვის საჭირო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, მათთვის დაწესებული შეღავათების მისაცემად.

რესპუბლიკის სასოფლო სკოლებში გასულ სასწავლო წელს მომუშავე 46,4 ათასი მასწავლებლიდან დაახლოებით 10 ათასი დაქირავებულ ბინებში ცხოვრობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა, სკოლების დირექტორთა და დირექტორების მოადგილეთა განათლების დონით საქართველოს სს რესპუბლიკას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სსრ კავშირში, ბევრი სასოფლო სკოლა კანიცდის კვალიფიციურ პედაგოგთა ნაკლებობას.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სახალხო განათლებისა და სოფლის მეურნეობის ადგილობრივი ორგანოები საკმარის ყურადღებას არ უთმობენ სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარებასა და განმტკიცებას, არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს სოფლად სასკოლო განათლების ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სასოფლო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ასამაღლებლად, რათა იგი სრულად შეესაბამებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს, ასრულებდეს სულ უფრო აქტიურ როლს კომუნისტურ მშენებლობაში.

სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაეგზავნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილება „სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ დაინტერესებულ სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სახალხო განათლებისა და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ორგანოებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სოფლის დღის, საღამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საქმიანობაში, შეიმუშაონ და განახორციელონ უახლოეს წლებში, კონკრეტული ღონისძიებანი სოფლად სასკოლო განათლების შემდგომი განვითარებისათვის, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით მათი უზრუნველყოფისათვის, სასოფლო სკოლებში ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის დონის ამაღლებისათვის.

3. იმ მიზნით, რომ სრულად დაკმაყოფილდეს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებანი სკოლებზე და შეიქმნას სოფლის ახალგაზრდობის საყოველთაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო განათლებისათვის საჭირო პირობები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ ორი თვის ვადაში შეიმუშაონ ღონისძიებანი 1974-1980 წლებში თითოეულ საბჭოთა მეურნეობასა და მსხვილ კოლმეურნეობასთან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესაქმნელად და წარმოუდგინონ ისინი განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ჭიათურისა და ტყიბულის და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის სამინისტროებთან შეთანხმებული სია იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ორგანიზაციების და საწარმოებისა, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ 1973-1980 წლებში საკუთარი ძალებითა და სახსრებით სკოლების, სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და სოფლის მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

4. სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის განხორციელდეს სოფლად ახალი სასკოლო შენობების მშენებლობის, სკოლების არსებულ შენობებთან, აგრეთვე სასკოლო ინტერნატებთან საკლასო ოთახების, სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების, სახელოსნოების, სპორტული და საალტო დარბაზების, სასადილოების, ბუფეტების და სხვა საჭირო სადგომების მიშენების, აგრეთვე მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფართო პროგრამა.

დამტკიცდეს 1974-1980 წლებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებათა განაწილება, № 1 დანართის თანახმად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს 1974-1980 წლებში:

— სოფლად ახალი სასკოლო შენობების ასაგებად სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობებთან ერთად, კაპიტალურ დაბანდებათა ყოველწლიური გამოყოფა არსებულ სასკოლო შენობებთან საკლასო ოთახებისა და სხვა საჭირო სადგომების მიშენების განსახორციელებლად რესპუბლიკისათვის გამოყოფილ დამატებით ასიგნებათა ხარჯზე;

—კოლმეურნეობათა სახსრებით და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ძალებით სოფლად მშენებარე სკოლების, სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მასალების გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით, აგრეთვე ფონდების გამოყოფა ამ ობიექტების მოსაწყობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ აძლიოს კოლმეურნეობებს სკოლების, სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გრძელვადიანი კრედიტი 15 წლამდე ვადით, რომლის დაფარვა დაიწყოს მიღების შემდეგ მეხუთე წლიდან.

6. ნება დაერთოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს საჭირო შემთხვევებში გააერთიანონ საწარმოთა და კოლმეურნეობათა თანხმობით მათი სახსრები სკოლების, სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად სასოფლო დასახლებულ პუნქტებში, აგრეთვე მიიღონ კოლმეურნეობათა თხოვნით დადგენილი წესის შესაბამისად ადგილობრივი საბჭოების ბალანსზე სასკოლო შენობები, რომლებიც კოლმეურნეობებმა ააშენეს ტიპობრივი პროექტების მიხედვით.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განაგრძონ მიმდინარე წელს სოფლის სკოლების შენობათა დროებით შეჩერებული მშენებლობა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე 1973 წლისათვის დაწესებული გეგმის გადამეტებით.

დაევალოთ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დამატებით შეასრულონ 1973 წელს სოფლის სკოლების მშენებლობის სამუშაოები, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მთავარმმართველობამ გამოყოს აღნიშნული სოფლის სკოლების მშენებლობისათვის საშენი მასალები, № 3 დანართის თანახმად.

8. ნება დაერთოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გამოიყენონ მცირეკომპლექტიანი დაწყებითი სკოლების მშენებლობისათვის ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები. ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრები ამ სკოლების მშენებლობისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში გამოყენებულ უნდა იქნეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თანხმობით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოყოს 1975-1980 წლებში სასოფლო მცირეკომპლექტიანი სკოლების მშენებლობისათვის სტანდარტული სახლები რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმშენმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, აგრეთვე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა:

— გაითვალისწინონ ახლად შექმნილი და მშენებარე საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კრებსით ხარჯთაღრიცხვებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობა შესაბამისი დარგის კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

— განახორციელონ საჭირო შემთხვევებში სკოლების მშენებლობა და რეკონსტრუქცია მოქმედ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის 2 პროცენტის ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია „სოფლის მეურნეობის“ დარგით საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის.

10. რესპუბლიკის სახმშენმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყონ სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების მშენებლობა თანამედროვე ტიპობრივი და ინდივიდუალური (განმეორებით გამოსაყენებლად) პროექტების მიხედვით სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების, მოსწავლეთათვის შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და კლასგარეშე მუშაობის პირობების შექმნის გათვალისწინებით; უზრუნველყონ პროექტებით აგრეთვე სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა; დაამთავრონ 1973-1974 წლებში წინა წლების პროექტების მიხედვით აგებული სასკოლო შენობების რაციონალური გამოყენების რეკომენდაციების, აგრეთვე სკოლების არსებულ შენობებთან მიშენებისათვის ბლოკების ტიპობრივი პროექტების შემუშავება, № 4 დანართის თანახმად.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დამატებით გამოუყოს მიმდინარე წელს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ლიმიტი საპროექტო-საძიებო სამუშაოთა განსახორციელებლად 180 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის განათლების ობიექტების დასაპროექტებლად — 160 ათასი მანეთი და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების დასაპროექტებლად — 20 ათასი მანეთი.

12. დაევალოთ „საქქალაქმშენსახპროექტის“, „საქსახწყალპროექტის“, „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტებსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორას შეიმუშაონ 1973 წლის ბოლომდე სოფლის სკოლების შენობათა ადგილმდებარეობასთან მიბმის ტექნიკური დოკუმენტაცია, აგრეთვე განახორციელონ სკოლების არსებულ შენობებთან სადგომების მიშენების დამატებითი მოცულობის სამუშაოები რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით, № 5 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაუყოვნებლივ გამოყონ სოფლად განათლების ობიექტების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები სახელმწიფო ნორმებით დადგენილი ოდენობით და დროულად მისცენ შესაბამის საპროექტო ორგანიზაციებს დაპროექტების საწყისი მონაცემები.

დაევალოს საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარ საწარმოო სამმართველოს განაცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში გასცეს ტექნიკური პირობები განათლების ობიექტების ელექტრომომარაგებისა და თბომომარაგების მოსაწყობად.

14. სოფლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაეკისროთ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკოლმეურნმშენს“, ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას სოფლად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განსაზღვროს იმ საიჯარო სამუშაოთა მოცულობა, რომელთაც აღნიშნული სამინისტროები და უწყებები ახორციელებენ სოფლად სკოლების, სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე.

15. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ უზრუნველყონ სოფლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რეგულარული უფასო მიყვანა სკოლებში და უკან, გამოიყენონ ამისათვის სამარშრუტო ავტობუსები, საგარეუბნო და ადგილობრივი მატარებლები, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ტრანსპორტი, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი ბავშვთა გადასაყვანად.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინონ 1975-1980 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმათა პროექტებში სამგზავრო ავტობუსების გამოყოფა საბჭოთა მეურნეობებისათვის მისაწოდებლად და კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით.

16. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა შექმნან ყველა სასოფლო საშუალო სკოლაში 1974-1977 წლების მანძილზე და ყველა რვაწლიან სკოლაში — 1980 წლამდე აღჭურვილი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები, დააკომპლექტონ სასწავლო-მეთოდიკური და მხატვრული ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკები, № 6 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოუყოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ამ მიზნით 1974-1975 წლებში 3200 ათასი მანეთი, 1976-1980 წლებში — 2500 ათასი მანეთი ყოველწლიურად.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ გაითვალისწინონ 1974-1980 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმათა პროექტებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის საჭირო ინვენტარისა და ავეჯის, მათ შორის სასწავლო კაბინეტების ავეჯის კომპლექტების დამატებით დამზადება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილებით გათვალისწინებული ლიმიტების შესაბამისად.

18. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ საჭირო ზომები სოფლის სკოლების მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად, შექმნან ყოველ სასოფლო სკოლაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ავტოსაქმის შესწავლის პირობები, დამატებით შემოიღონ 1974-1980 წლების მანძილზე სასოფლო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში IX და X კლასების მოსწავლეთათვის ავტოსაქმის სწავლება და ტრაქტორებზე, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობა, № 7 დანართის თანახმად.

სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ავტოსაქმის შესწავლა და ტრაქტორებზე, კომბაინებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე მუშაობა შემოღებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 იანვრის № 44 და 1970 წლის 14 მაისის № 333 დადგენილებებით გათვალისწინებული პირობებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ გაითვალისწინონ, მოყოლებული 1974 წლიდან, ავტომობილების, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყოფა სოფლის სკოლების სასწავლო კაბინეტების აღჭურვისათვის, აგრეთვე ამორტიზებული ტექნიკის პერიოდული შეცვლა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბიუჯეტში საჭირო ასიგნებანი აღნიშნული ტექნიკის შესაძენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილების შესაბამისად:

— სოფლის სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა მოვლა-პატრონობის პირობების გასაუმჯობესებლად შემოღებულ იქნეს, მოყოლებული 1974 წლიდან, ინტერნატების ტიპობრივი შტატები და ამ ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა ლოგინითა და რბილი ინვენტარით უზრუნველყოფის ნორმები, № 8 და 9 დანართების თანახმად;

— მთლიანად განთავისუფლდეს, მოყოლებული 1975 წლიდან, სოფლის სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა დაახლოებით 25 პროცენტი სამჯერადი ცხელი კვების საფასურის გადახდისაგან, ხოლო დანარჩენ მოსწავლეებს დაუწესდეთ ამ კვების ღირებულების ნახევრის გადახდა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს რესპუბლიკის ბიუჯეტში ამისათვის საჭირო სახსრების გამოყოფა;

— მიეცეთ სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს დამატებითი შეღავათები სამეურნეო მოწყობისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კრედიტების მისაღებად. ამასთან დაკავშირებით მიეცეთ უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულ და სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამუშაოდ დანიშნულ ახალგაზრდა სპეციალისტებს კრედიტი სამეურნეო მოწყობისათვის 1000 მანეთამდე ოდენობით 5 წლამდე ვადით, რომლის დაფარვა დაიწყოს მისი მიღების შემდეგ მესამე წლიდან, ხოლო უმაღლესი და საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულ და სოფლად მომუშავე სოფლის სკოლების მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს კრედიტი საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად 2000 მანეთამდე ოდენობით 10 წლის ვადით, რომლის დაფარვა დაიწყოს მისი მიღების შემდეგ მეხუთე წლიდან;

— გაუგრძელდეს ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლებს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სასოფლო სკოლაში მათი მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

20. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეიმუშაონ და განახორციელონ 1974-1975 წლებში ყველა სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის, სოფლის სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით პედაგოგიურ სასწავლებლებსა და უნივერსიტეტებში მათი მომზადების დონის ამაღლების დამატებითი ღონისძიებანი.

21. პედაგოგიურ ინსტიტუტებში სასწავლებლად სოფლის ახალგაზრდობის მიზიდვის მიზნით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს 1975-1980 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმათა პროექტებში პედაგოგიურ ინსტიტუტებთან საერთო საცხოვრებლების მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განაცხადების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს წინადადებანი პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში სოფლის ახალგაზრდობის მიღების თაობაზე და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს ისინი საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს.

22. პროფესიულ სწავლებასა და ზოგად საშუალო განათლებაში სოფლის ახალგაზრდობის რაც შეიძლება სრულად ჩაბმის, კვალიფიციური მუშათა კადრებით საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების დაკომპლექტების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახალგაზრდობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილად ჩაითვალოს სოფლად საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების უფრო ფართო განვითარება.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა და წარუდგინა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი სოფლად საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

23. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

— განახორციელონ ღონისძიებანი სოფლად სასკოლო განათლების შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის; ძირითადად უახლოეს წლებში უზრუნველყონ ყველა სკოლის გადაყვანა ერთცვლიან მეცადინეობაზე; დააწესონ მკაცრი კონტროლი განათლების ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობისა და ხარისხისადმი და სასწავლო წლის დაწყებისათვის მათი საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი;

— ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშრომელთა კოლექტივების ინიციატივას სოფლის სკოლისათვის დახმარების გასაწევად სკოლებისა და ინტერნატების შენობათა აგებასა და რემონტში, სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობაში; გამუდმებით იზრუნონ სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კადრებისათვის, ფართოდ ჩააბან მასწავლებლები საზოგადოებრივ მუშაობაში, მაგრამ ისე, რომ ამან არ ავნოს მათს ძირითად საქმიანობას სოფლის ახალგაზრდობის სწავლებასა და აღზრდაში, ყურადღებით მოეკიდონ სოფლის სკოლების მასწავლებელთა საჭიროებებსა და მოთხოვნებს; მკაცრი კონტროლი გაუწიონ სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთათვის კანონმდებლობით დაწესებული შეღავათებისა და უპირატესობების დაცვას.

24. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ გააფართოოს მოძრაობა „კომკავშირი — სოფლის სკოლას“, მიიჩნიოს იგი როგორც ლენინური კომკავშირის საპატიო წვლილი სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განმტკიცების, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის სრულყოფის, სოფლის მეურნეობაში მათი საწარმოო შრომისათვის მომზადების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწონებულ იქნეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივა, რომ გაგზავნოს სასოფლო რაიონებში ახალგაზრდა მუშათა, კოლმეურნეთა, სტუდენტთა და მოსწავლეთა სამშენებლო რაზმები სკოლების, სკოლებთან არსებული ინტერნატებისა და მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად.

ფართოდ გაიშალოს კომკავშირელთა და მოსწავლეთა მოძრაობა სასკოლო შენობების, ქონებისა და სახელმძღვანელოების დაცვის უზრუნველსაყოფად, ყველა სკოლაში სპორტული მოედნების, პიონერთა ოთახების მოსაწყობად და სხვ.

25. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააუმჯობესონ სოფლის მასწავლებელთა სამედიცინო, სანატორიულ-საკურორტო მომსახურება და დასვენების ორგანიზაცია, უზრუნველყონ მასწავლებელთა მეტი რიცხვი სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა საგზურებით არდადეგების პერიოდში, გამოყონ ყოველწლიურად მათთვის მიზნობრივი დანიშნულების შეღავათიანი ტურისტულ-საექსკურსიო საგზურები; მოაწყონ შეღავათიან პირობებში სოფლის მასწავლებელთა ექსკურსიები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ; გაითვალისწინონ ასიგნებანი სოფლის მასწავლებელთა დასვენების ბაზების მოსაწყობად, რომელთაც განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ქმნიან.

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხები იმის შესახებ, რომ:

— საჭიროა გაუდიდდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპროექტო კანტორას ადგილმდებარეობასთან მისაბმელი განათლების ობიექტების მშენებლობის, აგრეთვე არსებული ობიექტების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დასამუშავებელი პროექტების ზღვრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება;

— არსებული სკოლებისათვის სასწავლო მოწყობილობისა და ინვენტარის შესაძენი, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტით ასიგნებული განათლების ობიექტების კაპიტალური რემონტის ჩასატარებელი სახსრები თავმოყრილ იქნეს საბალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებში, ხოლო ახლად მშენებარე ობიექტებისათვის საჭირო სახსრები — რესპუბლიკის განათლების სამინისტროში.

27. საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შორის ავტობუსების განაწილებისას ისინი პირველ რიგში გამოეყოთ იმ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და სხვა სასოფლო ორგანიზაციებს, სადაც ყველაზე მწვავედ დგას სკოლებში ბავშვთა მიყვანის პრობლემა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

•
• •

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ ყველა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანოს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად მიიჩნიონ სასოფლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის ძირეული გაუმჯობესება, დაუცხრომლად იზრუნონ მისი მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად, სოფლის ახალგაზრდობის განათლებისა და კომუნისტური აღზრდის დონის ასამაღლებლად, ცხოვრებისა და შრომისათვის მის მოსამზადებლად.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
გ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 4 სექტემბერი № 567

76 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების დანიშვნისას მუშათა და მოსამსახურეთა განუწყვეტელი შრომის სტაჟის გამოანგარიშების წესების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 12 ოქტომბრის № 1354 დადგენილებისა „თადარიგში დათხოვნილ ან სამსახურიდან გადამდგარ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარებისა და პენსიის მისაღებად განუწყვეტელი მუშაობის სტაჟის შენარჩუნების ნაწილში;

— მე-13 პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 დეკემბრის № 741 დადგენილებისა „საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავე დედა

ქალებისადმი დახმარებისა და ბავშვთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შემდგომი ზომების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 2 ოქტომბერი, № 594.

77 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 236 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მშენებლობაში სახარჯთაღრიცხვო ნორმებისა და ფასების დაზუსტებასთან დაკავშირებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 9 აგვისტოს № 570 დადგენილების შესასრულებლად დამტკიცდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 236 დადგენილებაში შესატანი ცვლილებანი, დანართის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 2 ოქტომბერი, № 611.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ოქტომბრის № 611 დადგენილებით

ცვლილებანი,

რომლებიც შეტანილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 236 დადგენილებაში

მე-3 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაწესდეს, რომ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებს ამტკიცებენ: 1-დან 3 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობებისა — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, ხოლო 1 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა დამტკიცდება მათ მიერ დადგენილი წესით“.

მე-4 პუნქტის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირობები დაცული არ არის, ტექნიკურ (ტექნიკურ-სამუშაო) პროექტებსა და საპროექტო მოცემულობებს ხელახლა დაამტკიცებენ მშენებლობებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5-დან 3 მილიონ მანეთამდეა, — საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ სახმშენთან და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო მშენებლობებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,5 მილიონ მანეთამდეა, — იმ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რომელმაც პროექტი დაამტკიცა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

78 ავტობუსების, ტრამვაის, ტროლეიბუსისა და მეტროპოლიტენის ვაგონების სათადარიგო ნაწილებით საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მომარაგების შესახებ

„საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 16 თებერვლის № 85 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

აღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ტრამვაის, ტროლეიბუსისა და მეტროპოლიტენის ვაგონების პარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ მთავარმომარაგებას, რომ, მოყოლებული 1973 წლიდან, გამოუყოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა სათადარიგო ნაწილები, კვანძები და აგრეგატები სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროებისათვის მათი ხარჯვის დამტკიცებული ნორმების შესაბამისად.

სსრ კავშირის სახმომარაგების მიერ საქართველოს სსრ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის ავტობუსების საჭიროებისათვის გამოყოფილი სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და აგრეგატების მიღება დაეკისროს, მოყოლებული 1974 წლიდან, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 15 სექტემბერი, № 556

ეროვნული ბიბლიოთეკა

79 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 361 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სსრ კავშირში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 მაისის № 361 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ნოემბრის № 737 დადგენილება „სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესახებ“;

— მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 22 აპრილის № 214 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 დეკემბრის № 1048 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებების ძალადაკარგულად ცნობისა და შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 17 სექტემბერი, № 560.

80 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 მაისის № 353 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

„სვანეთის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა და ფასეულობათა დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 მაისის № 353 დადგენილების მე-12 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ამოირიცხოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 30 მაისის № 353 დადგენილების მე-12 პუნქტიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 21 სექტემბერი, № 572.

81 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილების მეორე პუნქტში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს წინადადება და „საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების იმ მუშა-მოსამსახურეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ნორმების შესახებ, რომლებიც სოფელ ადგილებში ცხოვრობენ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 იანვრის № 1 დადგენილების მეორე პუნქტს სიტყვების: „რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ტრაქტორისტები და კომბაინერები“-ს შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემის მექანიზატორები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 16 ოქტომბერი, № 609

82 ქ. ქუთაისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 24 სექტემბრის № 700 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაარსდეს 1974 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფაკულტეტის ბაზაზე.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ წარმოადგინოს იმ სპეციალობათა ნუსხა, რომლებიც უნდა გამოეყოს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს და გადაეცეს ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინონ რესპუბლიკის 1974 წლის

ქ. ... საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებული ასიგნებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 16 ოქტომბერი, № 614.

83 საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიანი ზონის ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენის შესახებ

მხედველობაში იღებს რა საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მცხოვრებ ადგილობრივ მოქალაქეთა მრავალრიცხოვან თხოვნას ავარიულ მდგომარეობაში არსებული ან სტიქიური მოვლენების შედეგად დანგრეული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აღდგენის შესახებ, რასაც მხარს უჭერენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, აგრეთვე ითვალისწინებს სსრ კავშირის სახმშენთან არსებული სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის 1970 წლის 4 დეკემბრის რეკომენდაციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტების დასკვნით, და საქართველოს სსრ სახმშენს — საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სხვა რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წარდგენით მისცენ საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში მცხოვრებ ადგილობრივ მოქალაქეებს ნებართვა ააშენონ ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები მათი პირადი საკუთრების იმ სახლების ნაცვლად, რომლებიც დადგენილი წესით ცნობილია ავარიულ მდგომარეობაში არსებულად ან სტიქიური მოვლენების (წყალდიდობის, მიწისძვრის, მეწყრისა და სხვ.) შედეგად, აგრეთვე ხანძრისაგან დანგრეულად:

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასახლებათა ტერიტორიებზე, რომლებიც რჩება პერსპექტივით შავი ზღვის საკურორტო ზონის რაიონული დაგეგმარების პროექტის თანახმად და გათვალისწინებული არაა საკურორტო მშენებლობისათვის გამოსაყენებლად;

— ქალაქებში ბათუმში, ქობულეთში, ფოთში, ოჩამჩირეში, სოხუმში, გუდაუთაში, გაგრაში, აგრეთვე ქალაქის ტიპის დაბებში, რომლებსაც აქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებული გენერალური გეგმები, ხოლო იმ ქალაქებში, რომლებსაც არა აქვთ დამტკიცებული გენერალური გეგმები, — გენერალური გეგმების შემმუშავებელ საპროექტო ორგანიზაციებთან შეთანხმებით იმ პირობით, რომ საცხოვრებელი სახლი მდებარეობდეს უახლოეს წლებისათვის განსახორციელებლად გათვალისწინებული პირველი რიგის რეკონსტრუქციის ზონის გარეთ, ანდა გენერალური გეგმის თანახმად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებულ ნაკვეთზე.

2. დაწესდეს, რომ:

— ავარიულ მდგომარეობაში არსებული სახლების ნაცვლად ახალი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ავარიული სახლის კაპიტალური რემონტი შეუძლებელია ან მიზანშეუწონელია, ხოლო ქალაქებში, გარდა ამისა, იმ შემთხვევებში, როცა ავარიულ სახლებში მცხოვრებ პირებს ვერ მიეცემათ საცხოვრებელი ფართობი კომუნალურ სახლებში;

— ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს სახლთმფლობელის ოჯახის იმ წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, სხვა მენაშენეთა მონაწილეობის გარეშე, საქალაქო მშენებლობის წესების, აგრეთვე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული საცხოვრებელი და დამხმარე ფართობის ნორმების დაცვით;

— ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სახლების ნაცვლად ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს პროექტების მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია დადგენილი წესით საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში — ავტონომიური რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებთან შეთანხმებით;

— ავტონომიური რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებსა და საქართველოს სსრ სახმშენში წარდგენილ მასალებს თან უნდა ერთვოდეს დასახლებულ პუნქტში ნაკვეთის განლაგების სქემა (სიტუაციური გეგმა), არსებული ნაგებობის საინვენტარიზაციო გეგმა, ავარიული სახლების ფასადებისა და დამახასიათებელი დეტალების ფოტოსურათები, კომისიის აქტი აღსადგენი ავარიული სახლის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, ახალი სახლის პროექტი და ქალაქის ან რაიონის არქიტექტორის დასკვნა.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენსა და ავტონომიური რესპუბლიკების მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტებს გასცენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების წარდგინებათა საფუძველზე დასკვნები ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სახლების ნაცვლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიანი ზონის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სანაპირო რაიონებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისადმი სახელმწიფო ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით ნება დაერთოთ აღნიშნული ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შემოიღონ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების შტატებში ინდივიდუალური საბინაო ფონდისა და მიწათსარგებლობისადმი ზედამხედველობის სამშენებლო ინსპექტორთა თანამდებობანი ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის დაწესებული პერსონალის რიცხოვნობისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში.

5. საქართველოს სსრ სახმშენმა უზრუნველყოს 1975 წლის ბოლომდე რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროს ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სხვა დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმებისა და დეტალური დაგეგმარების პროექტების შემუშავება და დამტკიცება.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახმშენს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი, პერიოდულად განიხილონ ეს საკითხი თავიანთ სხდომებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1973 წ. 18 ოქტომბერი, № 615.

84 თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტის შექმნის შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას 1974 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტი.

2. დაწესდეს ფაკულტეტზე მისაღები კონტინგენტი 1974 წლისათვის 400 კაცის ოდენობით და 1975 წელს — 500 კაცის ოდენობით, სწავლების ვადად — ორი თვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს სკოლების დირექტორთა გაგზავნა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტზე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული თითოეული ნაკადის მეცადინეობის დაწყების გრაფიკის მიხედვით და სისტემატურად შეამოწმოს მეცადინეობაზე დასწრება.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ მისცეს 1974 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 64 ათასი მანეთი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტის შესანახი ხარჯებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 25 ოქტომბერი, № 630

85 ვახუშტი ბაგრატიონის პრემიისა და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო დიპლომის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შუამდგომლობა, რომელსაც მხარს უჭერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, იმის შესახებ, რომ დააწესოს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია და ამ საზოგადოების საპატიო დიპლომი.

ნება დაერთოს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებას, მოყოლებული 1974 წლიდან, მიანიჭოს ხუთ წელიწადში ერთხელ საკუთარი სახსრების ხარჯზე ერთი ფულადი პრემია 1500 მანეთის ოდენობით გეოგრაფიის დარგში უმნიშვნელოვანესი მეცნიერული გამოკვლევებისათვის და ორ წელიწადში ერთხელ — საზოგადოების საპატიო დიპლომი გეოგრაფიის დარგში საუკეთესო მეცნიერული გამოკვლევებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 29 ოქტომბერი, № 636

ეროვნული ბიბლიოთეკა

86 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების შესახებ, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 29 ოქტომბერი, № 637

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 29 ოქტომბრის № 637
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქების და რაიონების სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების შესახებ

ზოგადი დებულებანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო), აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები, რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურები და საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურები (ცენტრები), საქართველოს სსრ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა გამოთვლითი ცენტრები, მანქანათსაანგარიშო სადგურები და სხვა ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები თავიანთ მუშაობას ახორციელებენ საერთო-სახელმწიფოებრივი სტატისტიკის ზოგადი პრინციპების, ერთიანი მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ სსრ კავშირში აღრიცხვისა და სტატისტიკის ცენტრალიზებული სისტემა სახელმწიფო მართვისა და სახალხო მეურნეობის განვითარებისადმი გეგმიანი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია.

I. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო)

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო (საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო) არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს (სსრკ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს).

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო აწარმოებს აღრიცხვასა და სტატისტიკას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში და ახორციელებს აღრიცხვისა და სტატისტიკის საქმისადმი ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ასრულებს სტატისტიკურ სამუშაოებს, რომლებიც დაკისრებული აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სტატისტიკურ სამუშაოთა ცენტრალიზებული გეგმით,

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცალკეული დავალებებით.

2. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სს რესპუბლიკაში აღრიცხვის, ანგარიშგებისა და სტატისტიკის ორგანიზაციისა და სრულყოფისათვის, თავის მიერ წარდგენილი და გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის.

3. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მთავარი ამოცანებია:

აღრიცხვისა და სტატისტიკის ორგანიზაციისა და მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფა;

სახელმწიფო გეგმების შესრულების მიმდინარეობის, საზოგადოებრივი წარმოებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის დარგთა განვითარებაში თანაფარდობის, ეკონომიკის, ტექნიკის, კულტურის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, საწარმოო ძალთა განლაგების დამახასიათებელი მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური მონაცემების, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ბუნებრივი, შრომითი და მატერიალური რესურსების არსებობისა და გამოყენების ამსახველი მონაცემების შეგროვება, დამუშავება და დროულად წარდგენა საქართველოს სსრ მთავრობისა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსათვის;

საქართველოს სს რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროცესთა და მოვლენათა შესწავლა სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე; სტატისტიკური მასალების ეკონომიური ანალიზი და საქართველოს სსრ მთავრობისათვის მოხსენებათა და წინადადებათა წარდგენა საქართველოს სს რესპუბლიკის, ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების აქტუალურ საკითხებზე;

მათემატიკური მეთოდებისა და ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენებით სახელმწიფო სტატისტიკის ავტომატიზებული სისტემის რესპუბლიკური რგოლის შექმნა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველ ყოფა; ანგარიშგების შემდგომი შემცირება, მისი დამუშავების ვადების შემცირება და ღირებულების გაიაფება; სახალხო მეურნეობაში სააღრიცხვო-გამოსათვლელ სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარება;

სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საანგარიშგებო ბალანსის, პროდუქციის წარმოებისა და განაწილების სადარგთაშორისო ბალანსის შედგენა; საზოგადოებრივი პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის, მოსახლეობის შემოსავალ-გასავლის გამოანგარიშება; მოსახლეობის მატერიალური, ფინანსური, შრომითი რესურსებისა და მისი რიცხოვნობის პერსპექტიული გაანგარიშების საანგარიშგებო ბალანსების შედგენა;

კონტროლი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობისა და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობისადმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების ამსახველი ცნობების, აგრეთვე სხვა სტატისტიკური მასალების გამოქვეყნება პრესაში, სტატისტიკური ბიულეტენებისა და კრებულების გამოცემა;

შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, მათი უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით; მუშაკთა საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

4. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) სისტემატურად მუშაობს აღრიცხვისა და სტატისტიკის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების მაჩვენებლების სრულყოფისათვის, მათი ფორმების შემცირებისა და უნიფიკაციისათვის; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად ახორციელებს ღონისძიებებს სტატისტიკური და საგეგმო მაჩვენებლების მეთოდოლოგიის სრული ერთიანობის უზრუნველსაყოფად; საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ეწევა მუშაობას საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მაჩვენებლებისა და ფორმების სრულყოფისათვის; ახორციელებს ღონისძიებებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების ცენტრალიზაციისათვის;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების აღრიცხვას; აწყობს და აწარმოებს სტატისტიკას სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ბიუჯეტების სტატისტიკას, სტატისტიკას ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხებზე, აგრეთვე ასრულებს სხვა სტატისტიკურ სამუშაოებს, რომლებიც დაკისრებული აქვს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებებითა და მითითებებით; წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენიშვნებსა და წინადადებებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტების გამო;

გ) აწარმოებს მოსახლეობის აღწერას და სხვა აღწერებს და ერთდროულ აღრიცხვებს, შერჩევითსა და მონოგრაფიულ სტატისტიკურ გამოკვლევებს; ნებას რთავს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა დაწესებულებებს განახორციელონ შერჩევითი და მონოგრაფიული სტატისტიკური გამოკვლევები საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებული პროგრამების მიხედვით;

დ) შეისწავლის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს, საწარმოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალთა განვითარების, ბუნებრივი, შრომითი და მატერიალური რესურსების გამოყენების, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა, კაპიტალურ დაბანდებათა, ძირითადი და საბრუნავი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების საკითხებს, წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ხელფასის, პროდუქციის თვითღირებულების, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების, მოგებისა და რენტაბელობის, ფასებისა და ფასწარმოქმნის, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნისა და გამოყენების, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის, კულტურული დონის და ეკონომიკისა და კულტურის სხვა საკითხებს; სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ავლინებს სახალხო მეურნეობაში არსებულ რეზერვებს და მოახსენებს მათ შესახებ საქართველოს სსრ მთავრობას;

ე) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მასთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით სტატისტიკური მონაცემებით, რომლებიც საჭიროა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესამუშავებლად და მთლიანად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მასშტაბით, ცალკეულ დარგებში, ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, სამინისტროებში, უწყებებში გეგმების შესრულების შესამოწმებლად, აგრეთვე მონაცემებით, რომლებიც ახასიათებენ სახალხო მეურნეობაში არსებულ რეზერვებს და სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებებს;

ვ) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებს მათთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით სტატისტიკური მონაცემებით, რომლებიც საჭიროა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესადგენად, სახალხო მეურნეობის დარგების დასაფინანსებლად და დასაკრედიტებლად და საფინანსო კონტროლის განსახორციელებლად;

ზ) წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა ანგარიშგება ცენტრალიზებულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში, და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს — მათთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც მათ ესაჭიროებათ თავიანთი საქმიანობის სფეროს შესაბამისად; აგროვებს და ამუშავებს სტატისტიკურ მასალებს და წარუდგენს მათ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს;

თ) წარუდგენს დადგენილი წესით სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემებს, რომლებიც მათ ესაჭიროებათ მეცნიერული კვლევის გეგმების შესაბამისად;

ი) აქვეყნებს პრესაში ცნობებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ და სხვა სტატისტიკურ მასალებს, გამოსცემს დადგენილი წესით სტატისტიკურ ბიულეტენებსა და კრებულებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარ ამოწმებს რესპუბლიკურ პრესაში გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებულ ცნობებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქების მიერ გეგმების შესრულების შესახებ, აგრეთვე კონტროლს უწევს ასეთი ცნობების გამოქვეყნებას სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების მიერ;

კ) უზრუნველყოფს ელექტრონული და სხვა გამოსათვლელი ტექნიკის და ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების ფართოდ დანერგვასა და ეფექტიან გამოყენებას სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას; ახორციელებს ხელმძღვანელობას სახელმწიფო სტატისტიკის რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული ავტომატიზებული სისტემის შექმნისა და ექსპლუატაციისადმი;

უზრუნველყოფს გამოთვლით ცენტრში, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა საინფორმაციო-გამოთვლით და მანქანათსაანგარიშო სადგურებში (სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე) საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ცენტრალიზებულ ბუღალტერიათა სააღრიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტაციის, საგეგმო და სხვა ეკონომიური გაანგარიშების მექანიზებულ დამუშავებას, ეწევა მუშაობას დოკუმენტაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მისი დამუშავების ვადების შესამცირებლად; ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარების საქმეს;

ლ) ეწევა მუშაობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სააღრიცხვო-გამოსათვლელ სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარებისათვის, აგრეთვე ამ დარგში მოწინავე გამოცდილების გაზიარებას;

მ) მონაწილეობს რესპუბლიკაში გამოთვლითი ცენტრების, მართვის დარგობრივი და უწყებრივი ავტომატიზებული სისტემების შექმნის გეგმების შედგენაში; განიხილავს და იძლევა დასკვნებს შესათანხმებლად წარსადგენ სამინისტროთა და უწყებათა წინადადებებზე საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მანქანათსაანგარიშო სადგურების (ბიუროების) შექმნის, აგრეთვე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გამოთვლითი ცენტრებისა და მანქანათსაანგარიშო სადგურების სამუშაო გეგმების შესახებ; ახორციელებს გამოთვლითი ცენტრების, მანქანათსაანგარიშო სადგურების (ბიუროების) და მექანიზებული ანგარიშის ფაბრიკების მუშაობის აღრიცხვას, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, აგრეთვე კონტროლს უწევს მათ მიერ გამოსათვლელი მანქანების გამოყენებას;

ნ) ანაწილებს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით გამოსათვლელ პერფორაციულ და კლავიშიან მანქანებს და მათ სათადარიგო ნაწილებს, აგრეთვე ქაღალდზე გადატანილ ტექნიკური ინფორმაციის მატარებლებს (პერფობარათებს, პერფოლენტებს, უწყვეტ ფორმულარებსა და სხვა ტექნიკურ მატარებლებს);

ო) ამტკიცებს სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებს რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, აგრეთვე ინსტრუქციებს ამ ფორმების შევსების თაობაზე სსრ კავშირის ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული სტატისტიკური ანგარიშგების მაჩვენებლების საერთო-საკავშირო მინიმუმის გათვალისწინებით; საჭიროების შემთხვევაში აწესებს დამატებით სტატისტიკურ ანგარიშგებას საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ადგილობრივი, რესპუბლიკური და საკავშირო დაქვემდებარების საწარმო-ორგანიზაციებისათვის, ცალკეული რაიონების ეკონომიურ თავისებურებათა გათვალისწინებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად;

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სრულიად საკავშირო გაერთიანება „სოიუზუჩოტიზდატის" თბილისის განყოფილების მეშვეობით ბეჭდავს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში ცენტრალიზებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმათა ბლანკებს და უგზავნის მათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს;

აწესებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ვადებს, თუ როდის უნდა წარმოადგინონ რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა წლიური და კვარტალური საბუღალტრო ანგარიშები და ბალანსები;

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ტიპობრივი ფორმების საფუძველზე აწესებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად საბუღალტრო ანგარიშგების ფორმებს რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის და რესპუბლიკური საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის;

პ) ახორციელებს საერთო ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგებში პირველადი აღრიცხვის საკითხებისადმი (გარდა ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვისა, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო);

ჟ) მონაწილეობს მართვის ავტომატიზებულ სისტემებში გამოყენებული დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემებისა და ტექნიკურ-ეკონომიური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ერთიანი სისტემის შემუშავებასა და შემდგომ განვითარებაში;

რ) ამოწმებს უშუალოდ და სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით სახალხო მეურნეობაში აღრიცხვის, ანგარიშგებისა და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის მდგომარეობას;

საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და კოლმეურნეობები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოთხოვნით წარადგინონ მასალები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის შესამოწმებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საანგარიშგებო მონაცემების არაუტყუარობის ფაქტების დადგენის შემთხვევაში იძლევა შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს ანგარიშგებაში შესწორებათა შეტანის შესახებ; საანგარიშგებო მონაცემების წამატებისა და სხვა განზრახ დამახინჯებათა დადგენის შემთხვევებში შეაქვს წინადადებანი შესაბამის ორგანოებში იმის შესახებ, რომ დამნაშავე პირები მიეცნენ პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

სისტემატურად მოახსენებს შემოწმებათა შედეგებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და აცნობებს მათ შესახებ შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს საჭირო ზომების მისაღებად;

ს) აუქმებს დადგენილი წესით დაუმტკიცებელ ანგარიშგებას.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მითითებანი ასეთი ანგარიშგების გაუქმების შესახებ სავალდებულოა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის, აგრეთვე საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და კოლმეურნეობებისათვის.

აღრიცხვისა და ანგარიშგების სხვა საკითხებზე სამინისტროთა და უწყებათა იმ ბრძანებებისა და მითითებების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს, საქაროველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსს წარდგინებანი შეაქვს საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან მათი გაუქმების შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში შეაქვს წინადადებანი ამ საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში ან მოახსენებს ამის შესახებ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

ტ) ამოწმებს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებში, თუ როგორ არის დაყენებული მუშაობა პირველადი აღრიცხვის, ანგარიშგების ორგანიზაციისა და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის უზრუნველსაყოფად მათს საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, და საჭირო შემთხვევებში განიხილავს შემოწმებათა შედეგებს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა მონაწილეობით;

უ) იღებს ზომებს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში;

ფ) უზრუნველყოფს მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვას, იღებს ზომებს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობაში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ) ახორციელებს მუშაობას სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა სტრუქტურის სრულყოფისა და მათი შენახვის სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისათვის;

ღ) ახორციელებს საქვეუწყებო სასწავლებლებში საანგარიშო დარგის მუშაკთა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისათვის მექანიზებული აღრიცხვის მუშაკთა, აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის მუშაკთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;

ყ) იწვევს დადგენილი წესით საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის მუშაკთა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების მუშაკთა თათბირებს აღრიცხვისა და სტატისტიკის მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციის, საღრიცხვო-გამოსათვლელ სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის და სხვა საკითხების განსახილველად;

შ) ხელმძღვანელობს ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოების, საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობას, ამოწმებს მათს საქმიანობას;

ჩ) აჯილდოებს დადგენილი წესით საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის საუკეთესო მუშაკებს საპატიო სიგელებით და იყენებს წახალისების სხვა სახეობებს.

5. საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები, საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები მოვალენი არიან საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მოთხოვნით წარადგინონ სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგება და მასალები მთელ საღრიცხვო-სტატისტიკურ სამუშაოებზე (მათი დამუშავების ყოველ სტადიაში), აგრეთვე დამატებითი მონაცემები და ახსნა-განმარტებანი წარდგენილი ანგარიშგებისათვის.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები, საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან წარუდგინონ საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ან შესაბამის ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანოებს სტატისტიკური ცნობარები და კრებულები, ინსტრუქციები და მითითებები აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე, საფასარები და პრეისკურანტები, ბრძანებები და განკარგულებანი ფასების დამტკიცების შესახებ, გეგმები, აგრეთვე დროულად შეატყობინონ გეგმათა მაჩვენებლებში დადგენილი წესით შეტანილი ცვლილებანი.

6. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო:

ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს დადგენილი წესით საქვეუწყებო ორგანიზაციებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს მისთვის დამტკიცებული შრომის გეგმისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში, აგრეთვე ამტკიცებს ამ ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა დებულებებს (წესდებებს);

ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების სტატისტიკურ სამმართველოთა სტრუქტურასა და შტატებს, მათს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე საქვეუწყებო სამეურნეოანგარიშიან ორგანიზაციათა შტატებსა და საწარმოო-საფინანსო გეგმებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველობის აპარატის ტიპობრივი სტრუქტურის მიხედვით და გამოყოფილ ასიგნებათა, ადმინისტრაციულ-სამმართველო და საწარმოო პერსონალის რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში, ამასთან ხელმძღვანელობს თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სქემით; ამტკიცებს დადგენილი წესით კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტებს, მშენებლობათა სატიტულო სიებს, საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, ანაწილებს მასალებისა და მოწყობილობის ფონდებს.

7. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას თავისი სისტემის ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო განაზოგადებს თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს კანონმდებლობის სრულყოფისათვის და შეაქვს ისინი შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განსახილველად.

8. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელიც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

9. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ამ სამმართველოს უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე), უფროსის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი პერსონალურად პასუხისმგებელია საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსადმი დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, აწესებს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამმართველოს უფროსის მოადგილეთა და სამმართველოების, განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს საქმიანობის სხვადასხვა დარგისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის.

დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კაპიტალური მშენებლობის, ფინანსებისა და კრედიტის, კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში საქვეუწყებო ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულებისას საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ახორციელებს საკავშირო-რესპუბლიკური მინისტრებისათვის მინიჭებულ უფლებებს.

11. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოებისათვის, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემის ორგანიზაციებისათვის, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, და ამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებები, ინსტრუქციები და მითითებები აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს სსრ ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და კოლმეურნეობებისათვის.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

12. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს სტატისტიკურ სამუშაოთა ორგანიზაციის, მეთოდოლოგიისა და მექანიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ძირითად სტატისტიკურ და ეკონომიურ სამუშაოთა შედეგებს, აღრიცხვისა და ანგარიშგების ცენტრალიზაციის, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების მექანიზაციის მდგომარეობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს; ისმენს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა, განყოფილებების უფროსთა, სტატისტიკური სამმართველოების უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსთა და სახელმწიფო სტატისტიკის სხვა ორგანოების ხელმძღვანელთა და წავლებლების დირექტორთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის ბრძანებებით. სამმართველოს უფროსსა და კოლეგიას შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ აზრთა სხვადასხვაობის შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. სტატისტიკის მეთოდოლოგიური საკითხების, უმნიშვნელოვანეს სტატისტიკურ სამუშაოებზე პროგრამებისა და ინსტრუქციების განსახილველად საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში მოქმედებს სამეცნიერო-საექსპერტო საბჭო. სამეცნიერო-საექსპერტო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თვალსაჩინო მეცნიერები და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, სამინისტროთა და უწყებათა, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა, უმაღლეს სასწავლებელთა და საწარმოთა მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

სამეცნიერო-საექსპერტო საბჭოს შემადგენლობასა და მის დებულებას ამტკიცებს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

14. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, მისთვის სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაწესებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, აგრეთვე განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

15. საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

II. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები

16. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები აწარმოებენ აღრიცხვასა და სტატისტიკას სახალხო მეურნეობის დარგებში, ახორციელებენ ხელმძღვანელობას მანქანათსაანგარიშო სადგურების მუშაობისადმი, აგრეთვე აღრიცხვისა და სტატისტიკის საქმისადმი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, და უშუალოდ ემორჩილებიან საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები ასრულებენ სტატისტიკურ სამუშაოებს, რომლებიც დაკისრებული აქვთ მათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სტატისტიკურ სამუშაოთა ცენტრალიზებული გეგმით, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცალკეული დავალებებით.

17. სტატისტიკურ სამმართველოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა აღრიცხვის, ანგარიშგებისა და სტატისტიკის ორგანიზაციისა და სრულყოფისათვის ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქ თბილისში, მათ მიერ წარდგენილი და გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის.

18. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) სისტემატურად იმუშაონ აღრიცხვისა და სტატისტიკის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების მაჩვენებლების სრულყოფისათვის, მათი ფორმების შემცირებისა და უნიფიკაციისათვის; განახორციელონ ღონისძიებანი ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის მეურნეობის და კულტურის დარგებში აღრიცხვისა და სტატისტიკის ცენტრალიზაციისათვის;

ბ) მოაწყონ ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების აღრიცხვა; მოაწყონ და აწარმოონ სტატისტიკა სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა ბიუჯეტების სტატისტიკა, სტატისტიკა ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხებზე;

გ) განახორციელონ უშუალოდ და სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტურების, საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურების (ცენტრების) მეშვეობით ერთდროული აღრიცხვები, შერჩევითი და მონოგრაფიული სტატისტიკური გამოკვლევები, რაც საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ცალკეული საკითხების შესასწავლად;

დ) ეკონომიურად გააანალიზონ სტატისტიკური მასალები და წარუდგინონ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს მოხსენებანი და წინადადებანი ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების აქტუალურ საკითხებზე;

ე) შეაგროვონ, დაამუშაონ და დროულად წარუდგინონ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებსა და საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სახელმწიფო გეგმების შესრულების მიმდინარეობას და მეურნეობისა და კულტურის განვითარებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) უზრუნველყონ საგეგმო კომისიები, საფინანსო ორგანოები, ბანკები, კანტორები საჭირო სტატისტიკური მონაცემებით მათთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით მოქმედი სახელმწიფო ანგარიშგების ფარგლებში;

ზ) წარუდგინონ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, საოლქო და საქალაქო ორგანიზაციებს, რომელთა ანგარიშგება ცენტრალიზებულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში, და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს — მათთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მათ ესაჭიროებათ თავიანთი საქმიანობის სფეროს შესაბამისად, დაწესებული ანგარიშგების ფარგლებში; მოაწყონ სტატისტიკური მასალების შეგროვება და დამუშავება და მათი წარდგენა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისათვის;

თ) წარუდგინონ დადგენილი წესით სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემები, რომლებიც მათ ესაჭიროებათ მეცნიერული კვლევის გეგმების შესაბამისად;

ი) გამოაქვეყნონ პრესაში ცნობები სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ და სხვა სტატისტიკური მასალები, გამოსცენ დადგენილი წესით სტატისტიკური ბიულეტენები და კრებულები;

წინასწარ შეამოწმონ ადგილობრივ პრესაში გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებული ცნობები ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა, საოლქო და საქალაქო ორგანიზაციათა მიერ გეგმების შესრულების შესახებ;

კ) უზრუნველყონ ელექტრონული და სხვა გამოსათვლელი ტექნიკის და ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების ფართოდ დანერგვა და ეფექტიანი გამოყენება სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისას, შექმნან სახელმწიფო სტატისტიკის რესპუბლიკური (ასსრ) და რაიონული ავტომატიზებული სისტემები და უხელმძღვანელონ მათს ექსპლუატაციას; უზრუნველყონ გამოთვლით ცენტრებში, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა საინფორმაციო-გამოთვლით და მანქანათსაანგარიშო სადგურებში სამეურნეო ხელშეკრულებათა საფუძველზე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ცენტრალიზებულ ბუღალტერიათა სააღრიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტაციის, საგეგმო და სხვა ეკონომიური გაანგარიშების მექანიზებული დამუშავება, გააუმჯობესონ დოკუმენტაციის ხარისხი და შეამცირონ მისი დამუშავების ვადები; განავითარონ გამომგონებლობა და რაციონალიზაცია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა სისტემაში;

ლ) განიხილონ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დავალებათა მიხედვით შესათანხმებლად წარსადგენი სამინისტროთა და უწყებათა წინადადებანი საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მანქანათსაანგარიშო სადგურების (ბიუროების) შექმნის შესახებ და გასცენ დასკვნები ამ წინადადებათა გამო;

განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სააღრიცხვო-გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა
მატიზაციის განსავითარებლად; უზრუნველყონ მოწინავე გამოცდილების ზიარება აღრიცხვის, მექანიზაციის დარგში; აღრიცხონ გამოთვლითი ცენტრების, მანქანათსაანგარიშო სადგურების (ბიუროების) და მექანიზებული ანგარიშის ფაბრიკების მუშაობა, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, აგრეთვე კონტროლი გაუწიონ მათ მიერ გამოსათვლელი მანქანების გამოყენებას;

მ) განახორციელონ საერთო ხელმძღვანელობა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სახალხო მეურნეობაში პირველადი აღრიცხვის საკითხებისადმი;

ნ) შეამოწმონ აღრიცხვის, ანგარიშგების მდგომარეობა და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობა ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სახალხო მეურნეობაში.

ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და კოლმეურნეობები მოვალენი არიან სტატისტიკური სამმართველოს მოთხოვნით წარადგინონ მასალები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა აღრიცხვის, ანგარიშგების მდგომარეობის და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის შესამოწმებლად.

საანგარიშგებო მონაცემების არაუტყუარობის ფაქტების დადგენის ყველა შემთხვევაში სტატისტიკური სამმართველოები იძლევიან შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს ანგარიშებში შესწორებათა შეტანის შესახებ; საანგარიშგებო მონაცემების წამატებისა და სხვა განზრახ დამახინჯებათა დადგენის შემთხვევებში შეაქვთ წინადადებანი იმის შესახებ, რომ დამნაშავე პირები მიეცნენ პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; სისტემატურად მოახსენებენ შემოწმებათა შედეგებს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს და აცნობებენ მათ შესახებ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, საოლქო და საქალაქო ორგანიზაციებს ზომების მისაღებად;

ო) მიიღონ ზომები სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის საქვეუწყებო ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში;

პ) უზრუნველყონ სტატისტიკურ სამმართველოებში მშრომელთაგან შემოსული წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვა, მიიღონ ზომები საქვეუწყებო ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საქმიანობაში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ჟ) განახორციელონ დადგენილი წესით მუშაობა სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა სტრუქტურის სრულყოფისა და მათი შენახვის სახსრების მომჭირნეობით ხარჯვისათვის; დანერგონ საქვეუწყებო ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, მიიღონ ზომები მუშაკთა საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად;

რ) აამაღლონ სტატისტიკური სამმართველოსა და საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკთა კვალიფიკაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს) მოიწვიონ დადგენილი წესით საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკთა, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების სააღრიცხვო დარგის მუშაკთა, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების სააღრიცხვო დარგის მუშაკთა თათბირები აღრიცხვისა და სტატისტიკის, სააღრიცხვო-გამოსათვლელ სამუშაოთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საკითხების განსახილველად;

ტ) უზრუნველყონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში ცენტრალიზებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების ბლანკებით;

უ) უხელმძღვანელონ სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტურებისა და საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურების (ცენტრების) და მანქანათსაანგარიშო სადგურების მუშაობას და შეამოწმონ მათი საქმიანობა;

ფ) დააჯილდოონ დადგენილი წესით სტატისტიკური სამმართველოსა და საქვეუწყებო ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა საუკეთესო მუშაკები საპატიო სიგელებით და გამოიყენონ წახალისების სხვა სახეობანი.

19. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს უფლება ენიჭებათ:

ა) მიიღონ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებებისაგან და ავტონომიური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულებისა და კოლმეურნეობისაგან მათი მისამართით გათვალისწინებული სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგება, აგრეთვე სტატისტიკური სამმართველოს მოთხოვნით — მასალები ყველა სააღრიცხვო-სტატისტიკურ სამუშაოზე მათი დამუშავების ყოველ სტადიაში, დამატებითი მონაცემები და ახსნა-განმარტებანი ანგარიშგებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, საოლქო და საქალაქო ორგანიზაციები მოვალენი არიან დროულად აცნობონ შესაბამის სტატისტიკურ სამმართველოებს გეგმები და გეგმათა მაჩვენებლებში დადგენილი წესით შეტანილი ცვლილებანი;

ბ) შეამოწმონ ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებში, საოლქო, საქალაქო და სხვა ორგანიზაციებში, თუ როგორ არის დაყენებული მუშაობა პირველადი აღრიცხვის, ანგარიშგების ორგანიზაციისა და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის უზრუნველსაყოფად მათს საქვეუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, და საჭირო შემთხვევებში განიხილონ შემოწმებათა შედეგები შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით;

გ) გააუქმონ დადგენილი წესით დაუმტკიცებელი ანგარიშგება. სტატისტიკურ სამმართველოთა მითითებანი ასეთი ანგარიშგების გაუქმების შესახებ სავალდებულოა ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და კომ-
ლმეურნეობებისათვის, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტრო-
ებისა და უწყებებისათვის, საოლქო, საქალაქო და სხვა ორგანიზაციებისათვის.

აღრიცხვისა და ანგარიშგების სხვა საკითხებზე ავტონომიური რესპუბლი-
კების სამინისტროთა და უწყებათა, საოლქო, საქალაქო და სხვა ორგანიზაციათა
იმ ბრძანებებისა და მითითებების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედ
კანონმდებლობას, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმა-
რთველოსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს
ბრძანებებს, ინსტრუქციებსა და მითითებებს, სტატისტიკური სამმართველოს
უფროსს წარდგინებანი შეაქვს ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამის სამი-
ნისტროთა და უწყებათა, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის ორგანი-
ზაციათა ხელმძღვანელებთან მათი გაუქმების შესახებ, ხოლო საჭირო შემთხ-
ვევებში შეაქვს წინადადებანი ამ საკითხებზე ავტონომიური რესპუბლიკის მი-
ნისტრთა საბჭოში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომი-
ტეტში, ან მოახსენებს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმარ-
თველოს;

დ) დაამტკიცონ სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებისა და საბიუჯე-
ტო მანქანათსაანგარიშო სადგურების შტატები რაიონებსა და ქალაქებში, მათი
ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთაღრიცხვების, აგრეთვე სამეურნეო ან-
გარიშიან ორგანიზაციათა შტატები და საწარმოო-საფინანსო გეგმები მმართვე-
ლობის აპარატის ტიპობრივი სტრუქტურის შესაბამისად და გამოყოფილ ასი-
გნებათა, ადმინისტრაციულ-სამმართველო და საწარმოო პერსონალის საშტა-
ტო რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში, ამასთან იხელმძღვა-
ნელონ თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სქემით.

20. ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლ-
ქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები თავიანთ საქმიანობაში
ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავ-
შირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართ-
ველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის
ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და საქართველოს სსრ ცენტრა-
ლური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითი-
თებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნ-
ველყოფენ მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას საქვეუწყებო ორგანი-
ზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

21. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილი-
სის სტატისტიკურ სამმართველოებს სათავეში უდგანან სამმართველოთა უფ-
როსები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური
სამმართველოს უფროსი. სტატისტიკურ სამმართველოთა უფროსებს ჰყავთ
მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატის-
ტიკური სამმართველოს უფროსი სტატისტიკური სამმართველოს უფროსის წა-
რდგინებით. მოვალეობებს მოადგილეთა შორის ანაწილებს სტატისტიკური სა-
მმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებში საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ნებართვით შეიძლება შეიქმნას კოლეგიები, რომელთა შემადგენლობაში შევლენ სამმართველოს უფროსი (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამმართველოს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრებს ნიშნავს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი შესაბამისი სტატისტიკური სამმართველოს უფროსის წარდგინებით.

23. სტატისტიკური სამმართველოს უფროსი პერსონალურად პასუხისმგებელია ამ სამმართველოსადმი დაკისრებულ ამოცანათა და მოვალეობათა შესრულებისათვის, აწესებს სამმართველოს უფროსის მოადგილეთა და განყოფილებებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას სტატისტიკური სამმართველოს საქმიანობის სხვადასხვა დარგისადმი ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე საქვეუწყებო ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის.

24. სტატისტიკური სამმართველოს უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების და განკარგულებების, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებების, ინსტრუქციებისა და მითითებების, აგრეთვე ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე და შესასრულებლად ბრძანებებს და იძლევა მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა შესასრულებლად საქვეუწყებო ორგანიზაციებისათვის, საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის, და ამოწმებს მათს შესრულებას.

სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებები და მითითებები აღრიცხვისა და ანგარიშგების საკითხებზე და სტატისტიკური სამმართველოს კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე სავალდებულოა შესასრულებლად ავტონომიური რესპუბლიკების ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის, საოლქო, საქალაქო და სხვა ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე საწარმოებისათვის, ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და კოლმეურნეობებისათვის.

სტატისტიკური სამმართველოს უფროსი საჭირო შემთხვევებში ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროთა და უწყებათა, საოლქო, საქალაქო და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან ერთად გამოსცემს ერთობლივ ბრძანებებსა და მითითებებს.

25. სტატისტიკურ სამმართველოთა კოლეგიები თავიანთ რეგულარულ სხდომებზე განიხილავენ სტატისტიკურ სამუშაოთა ორგანიზაციის, მეთოდოლოგიისა და მექანიზაციის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, ძირითად სტატისტიკურ და ეკონომიურ სამუშაოთა შედეგებს, ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქისა და ქალაქის სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების მექა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციის მდგომარეობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის, განაწილების საკითხებს; ისმენენ სტატისტიკური სამმართველოების ხელმძღვანელ მუშაკთა და მათი საქვეუწყებო სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, სტატისტიკური სამმართველოს უფროსის ბრძანებებით. სამმართველოს უფროსსა და კოლეგიის წევრთა შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილ აზრთა სხვადასხვაობის შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

26. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველოები ხელმძღვანელობენ სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურების, სტატისტიკურ სამმართველოებთან არსებული მანქანათსაანგარიშო სადგურების, საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურების (ცენტრების) და მანქანათსაანგარიშო სადგურების მუშაობას რაიონებსა და ქალაქებში.

27. ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს აქვთ ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი სახელწოდება.

III. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტურები და საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურები (ცენტრები)

28. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტურები და საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურები (ცენტრები) სახელმწიფო სტატისტიკის ცენტრალიზებული სისტემის პირველადი რგოლია. ისინი ეწევიან აღრიცხვასა და სტატისტიკას სახალხო მეურნეობის დარგებში და ახორციელებენ ხელმძღვანელობას აღრიცხვისა და სტატისტიკის საქმისადმი რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურები (ცენტრები) თანამედროვე გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენებით აწარმოებენ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა და ცენტრალიზებულ ბუღალტერიათა სააღრიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტაციის, საგეგმო და სხვა ეკონომიურ გაანგარიშებათა მექანიზებულ დამუშავებას.

29. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ და საქალაქო ინსპექტურებს, საინფორმაციო-გამოთვლით სადგურებს (ცენტრებს) ეკისრებათ პასუხისმგებლობა რაიონში, ქალაქში აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაციისა და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმჯობესებისათვის და მათ მიერ წარდგენილი და გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფისათვის.

30. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტურები და საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურები (ცენტრები) შესაბამისად ემორჩილებიან ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის სტატისტიკურ სამმართველოებს, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებში — საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს;

31. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურები (ცენტრები) იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე.

სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურების (ცენტრების) შემოსავალი იქმნება სტატისტიკური სამმართველოებისათვის შესრულებულ სამუშაოებზე მათგან შემოსული თანხებით და ხელშეკრულებათა საფუძველზე შესრულებული სამუშაოებისათვის საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა, კოლმეურნეობებისა და ცენტრალიზებული ბუღალტერიებისაგან შემოსული თანხებით.

სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურების (ცენტრების) მთელი ხარჯები გაიღება დამტკიცებული საწარმოო-საფინანსო გეგმების და ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად სამეურნეო საქმიანობის შედეგების მიხედვით მიღებული საკუთარი სახსრების ხარჯზე.

32. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ და საქალაქო ინსპექტურებს, საინფორმაციო-გამოთვლით სადგურებს (ცენტრებს) ეკისრებათ:

ა) შეასრულონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქის სტატისტიკური სამმართველოს სტატისტიკურ სამუშაოთა გეგმითა და ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული სტატისტიკური სამუშაოები; მოაწყონ და აწარმოონ რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე აღწერები და ერთდროული აღრიცხვები, შერჩევითი და მონოგრაფიული სტატისტიკური გამოკვლევები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით და სტატისტიკურ სამმართველოთა დავალებებით;

ბ) შეაგროვონ და დაამუშაონ რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა სტატისტიკური ანგარიშგება, აგრეთვე აღწერისა და ერთდროული აღრიცხვების, შერჩევით და მონოგრაფიულ სტატისტიკურ გამოკვლევათა მონაცემები;

გ) ეკონომიურად გააანალიზონ სტატისტიკური მასალები და წარუდგინონ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს მოხსენებანი და წინადადებანი რაიონის, ქალაქის მეურნეობისა და კულტურის განვითარების აქტუალურ საკითხებზე;

დ) დროულად წარუდგინონ რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელ ორგანოებს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ რაიონის, ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობისა და კულტურის სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და განვითარების მიმდინარეობას;

ე) უზრუნველყონ საგეგმო კომისიები, საფინანსო ორგანოები, ბანკების კანტორები საჭირო სტატისტიკური მონაცემებით მათთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით მიღებული ანგარიშგების საფუძველზე;

ვ) წარუდგინონ რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებს, რომელთა ანგარიშგება ცენტრალიზებულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში მათთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით, სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მათ ესაჭიროებათ თავიანთი საქმიანობის სფეროს შესაბამისად დაწესებული ანგარიშგების ფარგლებში; წარუდგინონ სტატისტიკური მასალები სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს;

ზ) გამოაქვეყნონ ადგილობრივ პრესაში ცნობები გეგმების შესრულების შესახებ, გამოსცენ სტატისტიკური ბიულეტენები და კრებულები რაიონის, ქალაქის მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ;

თ) შეამოწმონ აღრიცხვის, ანგარიშგების მდგომარეობა და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობა რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში, გაუწიონ მათ დახმარება პირველადი აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენების გაუმჯობესებაში, ჩაებან ამ საქმეში საზოგადოებრიობა.

საანგარიშგებო მონაცემების არაუტყუარობის ფაქტების დადგენის ყველა შემთხვევაში სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტურები, საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურები (ცენტრები) იძლევიან შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს ანგარიშებში შესწორებათა შეტანის შესახებ; საანგარიშგებო მონაცემების წამატებისა და სხვა განზრახ დამახინჯებათა დადგენის შემთხვევებში შეაქვთ შესაბამის ორგანოებში წინადადებანი იმის შესახებ, რომ დამნაშავე პირები მიეცნენ პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; შემოწმებათა შედეგებს სისტემატურად მოახსენებენ ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს, სტატისტიკურ სამმართველოებს და მათ შესახებ აცნობებენ შესაბამის ორგანიზაციებს ზომების მისაღებად;

ი) გამოავლინონ და მიიღონ ზომები დაწესებული წესით დაუმტკიცებელი ანგარიშგების გასაუქმებლად;

კ) მოიწვიონ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობების საღრიცხვო დარგის მუშაკთა თათბირები აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობის და გაუმჯობესების საკითხების განსახილველად;

ლ) უზრუნველყონ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში ცენტრალიზებული სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების ბლანკებით.

33. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ და საქალაქო საინფორმაციო-გამოთვლით სადგურებს (ცენტრებს) ეკისრებათ აგრეთვე მოვალეობა შეასრულონ სახელშეკრულებო საწყისებზე საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა, კოლმეურნეობათა და ცენტრალიზებულ ბუღალტერიათა სააღრიცხვო-საანგარიშგებო დოკუმენტაციის, საგეგმო და სხვა ეკონომიურ გაანგარიშებათა მექანიზებული დამუშავება, გააუმჯობესონ დოკუმენტაციის ხარისხი და შეამცირონ მისი დამუშავების ვადები; განავითარონ გამომგონებლობა და რაციონალიზაცია.

34. რაიონისა და ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმო, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭო, ორგანიზაცია, დაწესებულება და კოლმეურნეობა მოვალეა წარუდგინოს ზუსტად დადგენილ ვადებში სახელმწიფო სტატისტიკის შესაბამის რაიონულ, საქალაქო ინსპექტურასა და საინფორმაციო-გამოთვლით სადგურს (ცენტრს) მისი მისამართით გათვალისწინებული ანგარიშგება, აგრეთვე მისი მოთხოვნით — დამატებითი მონაცემები და ახსნა-განმარტებანი წარდგენილი ანგარიშგებისათვის, მასალები და დოკუმენტები, რომლებიც საჭიროა აღრიცხვის, ანგარიშგების მდგომარეობისა და საანგარიშგებო მონაცემების უტყუარობის შესამოწმებლად.

35. სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურები, საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურები (ცენტრები) თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სტატისტიკური სამმართველოს ბრძანებებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

36. სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებს სათავეში უდგანან რაიონისა და ქალაქის სახელმწიფო სტატისტიკის ინპექტორები, სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო-გამოთვლით სადგურებს (ცენტრებს) — უფროსები, რომლებსაც ნიშნავენ სტატისტიკურ სამმართველოთა უფროსები, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებსა და ქალაქებში — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი.

სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის (ცენტრის) უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავენ — შესაბამისად — სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ან რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი სადგურის (ცენტრის) უფროსის წარდგინებით. მოვალეობებს მოადგილეთა შორის ანაწილებს სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის (ცენტრის) უფროსი.

37. ქალაქ თბილისში სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტორები უშუალოდ ემორჩილებიან ქ. თბილისის სტატისტიკურ სამმართველოს.

38. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული, საქალაქო ინსპექტორი და რაიონული, საქალაქო საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის (ცენტრის) უფროსი პერსონალურად პასუხისმგებელი არიან ინსპექტურისადმი, სადგურისადმი (ცენტრისადმი) დაკისრებულ ამოცანათა და მოვალეობათა შესრულებისათვის, აწესებენ სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურისა და საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის (ცენტრის) მუშაკთა პასუხისმგებლობას მათდამი დაკისრებულ ამოცანათა და მოვალეობათა შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორი, სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის (ცენტრის) უფროსი გამოსცემენ ბრძანებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ ღონისძიებებს სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურის, საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის (ცენტრის) მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

40. სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის (ცენტრის) უფროსი ახორციელებს სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული, საქალაქო საინფორმაციო-გამოთვლითი სადგურის (ცენტრის) სახელით საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას.

41. მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გამოუყოფენ სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურებს, საინფორმაციო-გამოთვლით სადგურებს (ცენტრებს) რაიონებსა და ქალაქებში კეთილმოწყობილ სამუშაო სადგომებს.

სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურისათვის მიცემული სადგომი აღჭურვილი უნდა იყოს საჭირო ინვენტარითა და ტელეფონებით, ამასთან მათი ანაზღაურების ხარჯები, აგრეთვე სამეურნეო მომსახურების (დაგვა-დალაგება, გათბობა, სასამსახურო სადგომების განათება, მასალების ბეჭდვა და გამრავლება) ხარჯები უნდა მიეკუთვნოს რაიონის, ქალაქის ადგილობრივ ბიუჯეტს. ამ მიზნით საჭირო სახსრები აღმასკომების ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულია ცალკე სტრიქონით.

42. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ ინსპექტურებსა და საინფორმაციო-გამოთვლით სადგურებს (ცენტრებს) აქვთ ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მათი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

87 საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შესახებ, რომელიც ამ საზოგადოების შექმნის საორგანიზაციო კომიტეტმა წარმოადგინა.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა დამფუძნებელმა ყრილობამ, რომელიც 1973 წლის 20 ივლისს გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 1 მარტის № 126 დადგენილების შესაბამისად, მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 29 ოქტომბერი, № 639

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1973 წლის 29 ოქტომბრის № 639
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების („საქ. ავტომოტომოყვარული") შესახებ

I

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება („საქავტომოტომოყვარული") წარმოადგენს მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც შექმნილია იმ მიზნით, რომ განახორციელოს სისტემატური მუშაობა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურ მფლობელებთან სატრანსპორტო საშუალებათა მართვისას მათი პასუხისმგებლობისა და დისციპლინიანობის ამაღლებისათვის, გაუწიოს მათ საჭირო დახმარება სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის წესების ცოდნისა და ტარების ოსტატობის ამაღლებაში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევათა თავიდან აცილებისათვის ორგანიზატორულ და მასობრივ ახსნა-განმარტებით მუშაობაში.

2. საზოგადოება თავის მუშაობას წარმართავს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების, ფართო ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით.

3. საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

ა) გააერთიანოს ავტომობილისა და მოტოციკლის მფლობელი მოქალაქენი, აგრეთვე ავტომოტოტექნიკის, საავტომობილო და სამოტოციკლეტო სპორტისა და ტურიზმის სხვა მოყვარულნი;

ბ) აღზარდოს საზოგადოების წევრები კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმის, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, ამხანაგობისა და მეგობრობის, საგზაო მოძრაობის წესების ყოველგვარი დარღვევებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით;

გ) უზრუნველყოს საზოგადოების წევრთა აქტიური მონაწილეობა მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევათა თავიდან აცილებისათვის და ინდივიდუალური მფლობელობის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის პრაქტიკიდან ავარიებისა და კატასტროფების შემთხვევათა აღმოფხვრისათვის ორგანიზატორულ და მასობრივ ახსნა-განმარტებით მუშაობაში;

დ) დაეხმაროს საზოგადოების წევრებს საქართველოს სსრ მოსახლეობის ხაყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწარმოთა მეშვეობით გასაჩერებელ ადგილებზე და გზებზე ავტომობილებისა და მოტოციკლების დაცვა-შენახვაში, ტექნიკურ მომსახურებაში, რემონტში;

ე) ხელი შეუწყოს ავტომობილისა და მოტოციკლის მფლობელ მძღოლთა თავდაპირველი მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას, აგრეთვე კვალიფიკაციის სისტემატურ ამაღლებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) ჩააბას საზოგადოების წევრები ქუჩებზე და გზებზე მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის თანამშრომლობაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების განუწყვეტლივ ამაღლების ინტერესებისათვის;

ზ) პოპულარიზაცია გაუწიოს მოსახლეობაში და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობაში საავტომობილო და სამოტოციკლეტო სპორტსა და ტურიზმს; მოაწყოს ავტომოტოტურისტული და სპორტული ბანაკები, შეკრებები და დასასვენებელი ბანაკები;

თ) გაუწიოს საზოგადოების წევრებს იურიდიული დახმარება ინდივიდუალური მფლობელობის სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებით;

ი) პოპულარიზაცია გაუწიოს ტექნიკურ და იურიდიულ ცოდნას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დარგში, უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის და სატრანსპორტო საშუალებათა მოვლა-შენახვის წესების, მათი ტარებისა და მოპყრობის საუკეთესო ხერხების ფართო პროპაგანდა;

კ) გაავრცელოს სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დარგში;

ლ) შეუქმნას საზოგადოების წევრებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ყველა ინდივიდუალურ მფლობელს პირობები მშობლიური მხარის შესასწავლად, მრავალმხრივი დასვეხებისა და თავისუფალი დროის კულტურული გატარების უზრუნველსაყოფად; ჩაუნერგოს საზოგადოების წევრებს ძმრუხველობა ბუნებისადმი.

4. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარული" თავისი ამოცანების შესრულების ინტერესებისათვის:

ა) პროპაგანდას უწევს მოსახლეობაში საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

ბ) სისტემატურად აცნობს საზოგადოების წევრებს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე, საგზაო მოძრაობის წესების ცვლილებებს და ამ წესების დამრღვევთა დასჯის ზომებს;

გ) აწყობს საზოგადოების წევრებისათვის მოხსენებებს, საუბრებს, ინფორმაციებს, კონსულტაციებს საგზაო მოძრაობის, ავტომოტოტექნიკის, ავტომოტოტურიზმისა და ავტომოტოსპორტის საკითხებზე, აგრეთვე საგზაო მოძრაობის წესების ყველაზე დამახასიათებელ დარღვევათა ფაქტების კვალიფიციურ გარჩევას, მათი მიზეზებისა და თავიდან აცილების გამოუყენებელ შესაძლებლობათა ანალიზს;

დ) აწყობს საზოგადოების წევრებისათვის მეცნიერულ-პოპულარული კინოფილმების, დიაფილმების ჩვენებას, სემინარებს, ვიქტორინებს, გამოფენებს, შეხვედრებს ვეტერან ავტომოტომოყვარულებთან ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის საკითხებზე;

ე) აწყობს ავტომოტომოყვარულებისა და მოსახლეობისათვის გამოსვლებს რადიოთი, ტელევიზიითა და პრესაში საგზაო მოძრაობის წესების დაცვის საკითხებზე და საზოგადოების მოწინავე წევრთა გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) განიხილავს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ გადაცემულ საზოგადოების იმ წევრთა ცალკეულ აეროსოხალურ საქმეებს, ო

ლებძაც დააოღვიეს საგზაო ძოძოაობის წესები, და იღებს დაძხაშავეთა ბიძართ აძ დებულებით გათვალისწინებულ ზეძოქმედების ზომებს;

ზ) უზრუნველყოფს საზოგადოების მოწინავე წევრთა წახალისებას ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებების შესაბამისად;

თ) უზრუხველყოფს საზოგადოების წევრთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი ავტოიხსპექციის ძუშაობაში;

ი) აწყობს დადგენილი წესით კლუბებს, კურსებს, წრეებსა და ჯგუფებს ავტომობილისა და მოტოციკლის მძღოლთა, აგრეთვე ავტომოტოტურიზმისა და ავტომოტოსპორტის იხსტრუქტოოთა და მსაჯთა და საზოგადოების სხვა სახეობის საქმიანობისათვის საჭიროა სპეციალისტთა ძოსამზადებლად; გაძოუყოფს ავტომობილისა და მოტოციკლის იხდივიდუალურ ძფლობელებს ინსტოუქტორებს სატრანსპორტო საშუალებათა ტარების პრაქტიკულად შესწავლისათვის; ახორციელებს ღონისძიებებს თახრიგოსან სპორტსძეხთა მოსამზადებლად და აკომპლექტებს ნაკრებ გუნდებს რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის;

კ) აწყობს საზოგადოების წევრთა ტექნიკურ თვითმოქმედებას მათი კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ავტომოტოტურისტული აღჭურვილობის სრულყოფისა და რემოხტისათვის და ხელძღვახელობას უწევს აძ საქმეს;

ლ) აწყობს საზოგადოების წევრებისათვის ტურისტულ ლაშქრობებს, მოგზაურობებს, რალის, შეკრებებს;

მ) ამყარებს ურთიერთობას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შესაბამის ორგანოებთან საზოგადოების წევრთა ავტომოტოსატრახსპორტო საშუალებებისათვის კოოპერაციული გარაჟეებისა და სადგომების მოწყობისა და მშენებლობის საკითხებზე;
ტექნიკური მომსახურების სადგურებთან იმ მიზნით, რომ აღნიშნულ საწარმოთა მომსახურებით სარგებლობის პირობები უზრუნველყოფილი ჰქონდეთ

ნ) ამყარებს ურთიერთობას მოქალაქეთა კუთვხილი ავტომობილეების საზოგადოების წევრებს;

ო) ამყარებს ურთიერთობას ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ

პ) ეხმარება საზოგადოების კოლექტიურ წევრ საწარმოებს, დაწესებულებებსთან, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებთან იმ მიზნით, რომ პირველ რიგში მიიღოს საზოგადოების წევრებისათვის ტურისტული ინვენტარი გამქირავებელ პუნქტებში, ადგილობრივ მოტელებში, ავტოპანსიონატებსა და სხვა სახეობათა მომსახურების ობიექტებში;
ბებსა და ორგანიზაციებს ავტომოტოტურიზმისა და ავტომოტოსპორტის დარგში ღონისძიებათა განხორციელებაში, აგრეთვე მათი მუშაკების დასვენების ორგანიზაციაში;

ჟ) გამოსცემს დადგენილი წესით ბიულეტენებს, კრებულებს, ცნობარებს, პროექტებს, გზამკვლევებს, ბროშურებს, პლაკატებს მოძრაობის უსაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთხოების, საავტომობილო და სამოტოციკლეტო ტურიზმისა და სპორტის საკითხებზე, აშუქებს საზოგადოების საქმიანობას პერიოდულ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით;

რ) აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას საზოგადოების წევრებსა და ორგანიზაციებს შორის და კონკურსებს საზოგადოების ამოცანების საუკეთესო შესრულებისათვის;

ს) იწვევს დადგენილი წესით თათბირებს, სემინარებს, კონფერენციებს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობს შესაბამის თათბირებსა და კონფერენციებში, რომლებსაც აწყობენ სახელმწიფო ორგანოები ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

ტ) ხელს უწყობს სკოლებსა და სხვა სასწავლებლებს იმ მხრივ, რომ ჩაუნერგონ ახალგაზრდობას პასუხისმგებლობის გრძნობა საგზაო მოძრაობის წესების დაცვისათვის; შეფობას უწევს საბავშვო „მოძრაობის უსაფრთხოების მოედნებს“;

უ) ამყარებს კავშირურთიერთობას სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებთან იმ მიზნით, რომ ერთობლივად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოების ამოცანების შესაბამისად;

ფ) პროპაგანდას უწევს საზოგადოების წევრთა შორის ინდივიდუალურ მფლობელთა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნებაყოფლობითი დაზღვევის გაფართოების საკითხს;

ქ) იძენს ქონებას და ფლობს მას, დადგენილი წესით ქმნის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობა შეესაბამება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე ახორციელებს ობიექტების მშენებლობას საზოგადოების საჭიროებისათვის.

5. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარული“ და მისი რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო (სამხრეთ ოსეთის აო), საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით და აქვთ ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მათი სახელწოდება.

საზოგადოებასა და მის ორგანიზაციებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი ვალდებულებებისათვის საკუთარი სახსრებისა და ქონების ფარგლებში, გარდა ქონებისა, რომელზეც კანონით არ შეიძლება მიმართულ იქნეს გადახდევინება.

6. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულს“ აქვს ემბლემა, ხოლო საზოგადოების წევრებისათვის—სპორტული ფორმა და სამკერდე ნიშანი, რომელთა ნიმუშებს ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

II

საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

7. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წევრები შეიძლება იყვნენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი, აღიარებენ დებულებას ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ შესახებ და მუშაობენ მის ერთ-ერთ პირველადს ორგანიზაციაში.

შენიშვნა: მოსწავლეები, რომელთაც არ შესრულებიათ 18 წელი, ერთიანდებიან საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებთან არსებულ ჭაბუკთა და ბავშვთა ჯგუფებში, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული პირველადი ორგანიზაციების დებულების საფუძველზე;

ბ) სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, სასწავლებლები, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კოლექტიური წევრები), რომელთა სულ ცოტა 50 მუშაკი მაინც არის საზოგადოების წევრი.

8. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წევრად მიღებას აწარმოებენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები საზოგადოებაში შესვლის მსურველის განცხადების საფუძველზე.

საზოგადოების კოლექტიურ წევრთა მიღებას აწარმოებენ საზოგადოების რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციების საბჭოები სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სასწავლებელთა, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებების საფუძველზე.

საზოგადოების წევრად მიღებაზე უარის გამო საჩივრებს განიხილავს საზოგადოების ზემდგომი ორგანიზაციის საბჭო.

9. საზოგადოების წევრებს ეძლევათ საწევრო ბილეთები საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით.

10. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წევრები მოვალენი არიან:

ა) იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე და აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ერთი (ან რამდენიმე) სექციის მუშაობაში; ასრულებდნენ საზოგადოების დებულების, საზოგადოების ყრილობების, კონფერენციების, კრებებისა და ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა მოთხოვნებს;

ბ) პროპაგანდას უწევდნენ მოსახლეობაში საზოგადოების ამოცანებს, იზიდავდნენ საზოგადოებაში ახალ წევრებს;

გ) ღირსეულად ატარებდნენ საზოგადოების წევრის სახელს, უჩვენებდნენ დისციპლინიანობისა და ორგანიზებულობის მაგალითს, სისტემატურად მუშაობდნენ თავიანთი ტექნიკური და სპორტული კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სრულყოფდნენ ტარების ოსტატობას, ზუსტად იცავდნენ საგზაო მოძრაობის წესებსა და ავტომოტოტურისტის ქცევის წესებს ლაშქრობაში და გაჩერებებზე, ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ წესების დარღვევის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის;

დ) იჩენდნენ აქტივობასა და ინიციატივას საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესებისა და ქუჩაში მოძრაობის წესების სრულყოფის საქმეში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) დროულად იხდიდნენ შესასვლელ და ყოველწლიურ საწევრო შენატანებს და ანაზღაურებდნენ საზოგადოების მიერ მათთვის გაწეული მომსახურების ანგარიშებს;

ვ) მზრუნველობით ეკიდებოდნენ საზოგადოების მატერიალურ ნაწილსა და ქონებას, დროულად იხდიდნენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გამოსაღებებს.

11. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" წევრებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ გადამწყვეტი ხმის უფლებით საზოგადოების წევრთა კრებებსა და თათბირებში, აირჩიონ და არჩეულ იქნენ საზოგადოების ყრილობებზე, კონფერენციებზე, აგრეთვე საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში;

ბ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ მოწყობილ შეჯიბრებებში, ლაშქრობებში, მოგზაურობებში, რალიში, შეკრებებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში;

გ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს, სექციების, კომისიების მუშაობაში; გამოაქვეყნონ საზოგადოების გამოცემებში ნამუშევრები, რომლებიც შეესაბამებიან საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

დ) ისწავლონ მძღოლთა, სპორტული და ტურისტული ოსტატობის ამაღლების სემინარებზე, ავტომოტომოყვარულთა მოსამზადებელ კურსებზე და სკოლებში.

12. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" კოლექტიური წევრები მოვალენი არიან:

ა) შეასრულონ საზოგადოების დებულების მოთხოვნები და აქტიურად შეუწყონ ხელი მის განხორციელებას;

ბ) მიიზიდონ საზოგადოების წევრებად თავიანთ საწარმოთა, ორგანიზაციათა მუშაკები, კოლმეურნეობათა წევრები, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები.

13. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" კოლექტიურ წევრებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში, შეიტანონ თავიანთი წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოების მიერ თავისი ამოცანების შესრულებას;

ბ) წარუდგინონ საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებს შუამდგომლობანი მიღწეული წარმატებებისათვის საზოგადოების ორგანიზაციების წევრთა წახალისების შესახებ;

გ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ მოწყობილ კონკურსებში, დათვალიერებებში, გამოფენებში, შეჯიბრებებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გაგზავნონ თავიანთი მუშაკები — საზოგადოების წევრები საზოგადოების მიერ მოწყობილ კურსებსა და სემინარებზე სასწავლებლად.

14. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წევრებს საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის შეიძლება მიენიჭოთ წოდება „ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ საპატიო წევრი“. ამასთან შეტანილ იქნენ საზოგადოების საპატიო წიგნში და გადაეცეთ შესაბამისი მოწმობები.

წოდებას „ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ საპატიო წევრი“ ანიჭებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

საზოგადოებაში აქტიური საქმიანობისათვის და მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საზოგადოების წევრები შეიძლება დაჯილდოვდნენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, დიპლომით, ფასიანი საჩუქრით.

15. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ დებულების დარღვევისათვის საზოგადოების წევრთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სასჯელისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, მათ შორის საზოგადოებიდან გარიცხვა.

საზოგადოების წევრები, რომლებსაც არასაპატიო მიზეზით არ გადაუხდიათ საწევრო შენატანები ერთი წლის განმავლობაში, საზოგადოებიდან გასულად ითვლებიან.

გადაწყვეტილებას საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ იღებენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, ხოლო კოლექტიური წევრების გარიცხვის შესახებ — საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო (აო), საქალაქო და რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საზოგადოების ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებში, მათ შორის საზოგადოების ყრილობაზე.

III

ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ სტრუქტურა

16. დამფუძნებელი კრებების (კონფერენციების) გადაწყვეტილებებით ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ადგილობრივი ორგანიზაციები იქმნება:

ა) აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში — რესპუბლიკური (ასსრ), საქალაქო (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი, ბათუმი) და რაიონული ორგანიზაციები;

ბ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — საოლქო, საქალაქო (ქ. ცხინვალი) და რაიონული ორგანიზაციები;

გ) ქალაქებში თბილისში, გორში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, ტყიბულში, ზუგდიდსა და ჭიათურაში — საქალაქო ორგანიზაციები;

დ) ქ. თბილისის საქალაქო რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების სასოფლო რაიონებში — რაიონული ორგანიზაციები;

ე) მუშათა დაბებში — სადაბო ორგანიზაციები.

17. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ სამეურ-ველია პირველადი ორგანიზაციები; მათ შეადგენენ საზოგადოების წევრები, რომლებიც მუშაობენ ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სწავლობენ ერთ სასწავლებელში ან ცხოვრობენ ერთ სასოფლო დასახლებულ პუნქტში, ერთი საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის სახლებში, აგრეთვე საზოგადოების წევრები, რომლებიც თავიანთ მანქანებს ინახავენ ერთ კოოპერაციულ გარაჟში.

IV

ხელმძღვანელობისა და კონტროლის ორგანოები

18. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ უმაღლესი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭო ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც.

საზოგადოების რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ინიციატივით ან საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების არა ნაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

19. ყრილობის მოწვევის დროს, წარმომადგენლობის ნორმებსა და დღის წესრიგს საზოგადოების ცენტრალური საბჭო აცხადებს ყრილობამდე ორი თვით ადრე მაინც.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მაინც.

20. საზოგადოების ყრილობის დელეგატებს ირჩევენ რესპუბლიკურ (აფხაზეთისა და აჭარის ასსრ), საოლქო (სამხრეთ ოსეთის აო) და საქალაქო (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ჭიათურა, ტყიბული, გორი და ზუგდიდი) ნორმებით ხმის უფლებით.

21. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ყრილობა) და რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ) სასოფლო რაიონების კონფერენციებზე.

ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არჩეული არ არიან ყრილობის დელეგატებად, მის მუშაობაში მონაწილეობენ ლობა:

ა) ისმენს საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშებს და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

ბ) წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებებს ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ დებულების დამტკიცების, შეცვლისა და დამატების შესახებ;

გ) განსაზღვრავს საზოგადოების მორიგ ამოცანებს;

დ) ირჩევს საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას; არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით; არჩეულად ითვლებიან პირები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე დელეგატთა ხმების ნახევარზე მეტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) განიხილავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ გამოტანილ საკითხებს.

22. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ხელმძღვანელი ორგანო ყრილობებს შორის პერიოდში არის საზოგადოების ცენტრალური საბჭო. საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას ირჩევენ 4 წლის ვადით ყრილობის მიერ განსაზღვრული შემადგენლობით.

23. ყველა საკითხი დამფუძნებელ კრებებზე, საზოგადოების საბჭოების პლენუმებზე, ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ყრილობის სხდომებზე წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

24. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური საბჭოს პლენუმს იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ მაინც.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს რიგგარეშე პლენუმები მოიწვევა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან საზოგადოების ცენტრალური საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

25. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური საბჭო:

ა) ირჩევს თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს, რომლის შემადგენლობაში შედიან პრეზიდიუმის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პასუხისმგებელი მდივანი და წევრები საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით;

ბ) ამტკიცებს საზოგადოების სამუშაო გეგმებს და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

გ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშებს, საზოგადოების ორგანიზაციათა წინადადებებს;

დ) იწვევს საზოგადოების ყრილობას და ამზადებს მისთვის მოხსენებებს, ანგარიშებს, დადგენილებათა პროექტებსა და სხვა მასალებს;

ე) განიხილავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის მიერ შეტანილ სხვა საკითხებს.

26. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური საბჭოს პლენუმებზე ყველა საკითხი წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

27. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა მისი პრეზიდიუმი. ცენტრალური საბჭოს პლენუმებს შორის პერიოდში პრეზიდიუმი საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს.

28. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ა) შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმებს; ადგენს საზოგადოების ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს;

ბ) ახორციელებს მთელ მუშაობას საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად;

გ) ხელმძღვანელობს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მუშაობას;

დ) ქმნის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმთან სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს, სექციებსა და სხვა სტრუქტურულ ორგანოებს და ხელმძღვანელობს მათს მუშაობას;

ე) ამტკიცებს დებულებებსა და ინსტრუქციებს საზოგადოების საქმიანობის საკითხებზე;

ვ) აწყობს დადგენილი წესით თათბირებს, კონფერენციებს, ექსკურსიებს და ახორციელებს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს;

ზ) ხელმძღვანელობს საზოგადოების ორგანიზაციულ-მასობრივ და სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას;

თ) გამოსცემს ლიტერატურას საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აძლევს საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს ნებართვას შესაბამისი ლიტერატურის გამოსაცემად; საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზაციისათვის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ქმნის პრეზიდიუმის სამუშაო ორგანოს — სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს;

ი) ხელმძღვანელობს საზოგადოების ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას;

კ) უმტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონულ ორგანიზაციებს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, შრომის გეგმებს და განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ლიმიტს საზოგადოებისათვის დაწესებული შრომის გეგმის ფარგლებში;

ლ) საზოგადოების სახელით აწარმოებს აქტებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს ვალდებულებებსა და მინდობილობებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებებში და განაგებს საზოგადოების ქონებას კანონმდებლობით და ამ დებულებით დაწესებულ ფარგლებში;

მ) წარმომადგენლობს საზოგადოების სახელით ადმინისტრაციულ, სასამართლო, საარბიტრაჟო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ნ) იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს და ამზადებს მოხსენებებს, ანგარიშებსა და სხვა მასალებს სხდომებისათვის;

ო) ამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციებისათვის ბეჭდის ერთიან ნიმუშებს, საწევრო ბილეთებს, საწევრო შენატანების გადახდის დამადასტურებელ ჩანართ ფურცლებს, უზრუნველყოფს მათ დამზადებასა და დაგზავნას ცენტრალიზებული წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

 პ) ახორციელებს შინასაუწყებო რევიზიებს და ხელმძღვანელობს საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას;

ჟ) აწესებს იმ პირთა ნუსხას, რომლებიც სარგებლობენ კრედიტის განმკარგულებლის, ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების, საზოგადოების აპარატის მუშაკთა მიღებისა და დათხოვნის უფლებით;

რ) წყვეტს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

29. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური სარევიზიო კომისია:

ა) აირჩევა ყრილობის მიერ საზოგადოების იმ წევრთაგან, რომლებიც არ შედიან საზოგადოების ცენტრალურ საბჭოში, და ანგარიშს აბარებს ყრილობას; საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრებს არ შეიძლება ეკავოთ საშტატო თანამდებობანი საზოგადოების აპარატში;

ბ) ირჩევს თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს;

გ) ამოწმებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას, მის მიერ სახარჯთაღრიცხვო და საშტატო დისციპლინის დაცვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, საზოგადოების ცენტრალური საბჭოს აპარატში საქმეთა გატარების ვადებსა და სისწორეს;

დ) ანგარიშს აბარებს ყრილობას, აცნობს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმსა და ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს რევიზიათა (შემოწმებათა) შედეგებს.

საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრები მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმის მუშაობაში და ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებში.

30. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ორგანიზაციების უმაღლესი ორგანო აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში, საქალაქო და სასოფლო რაიონებში, დაბებში არის რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო კონფერენციები, რომლებიც მოიწვევა ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

კონფერენციები ღია კენჭისყრით ირჩევენ ორი წლის ვადით საბჭოსა და სარევიზიო კომისიას კონფერენციის მიერ დაწესებული რაოდენობით, განიხილავენ და ამტკიცებენ შესაბამისი საბჭოებისა და სარევიზიო კომისიების ანგარიშებს და წყვეტენ საზოგადოების საქმიანობის სფეროში შემავალ სხვა საკითხებს.

საბჭო ღია კენჭისყრით ირჩევს პრეზიდიუმს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, პასუხისმგებელი მდივნისა და წევრების შემადგენლობით.

სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

31. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება საზოგადოების წევრთა ნახევარზე მეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების მოწვევის ვადები განიხილ-ღვრება ამ ორგანიზაციების სამუშაო გეგმებით.

32. მიმდინარე მუშაობის შესასრულებლად საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, რომლებიც 15 და მეტ წევრს ითვლიან, საერთო კრებებზე ერთი წლის ვადით ირჩევენ საბჭოებს კრების მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და ხაზინადარს. ორგანიზაციებში, რომლებიც 15 წევრზე ნაკლებს ითვლიან, მიმდინარე მუშაობის შესასრულებლად ირჩევენ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარესა და ხაზინადარს.

33. დიდ პირველადს ორგანიზაციებში შეიძლება შეიქმნას საზოგადოების ძირეული ორგანიზაციები საწარმოს საამქროებსა და ცვლებში, კოლმეურნეობის ბრიგადებში, საბჭოთა მეურნეობის განყოფილებებში, დასახლებულ პუნქტებში, დაწესებულებათა განყოფილებებში, სასწავლებლის ფაკულტეტებზე, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების უბნებში.

34. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონებისა და დაბების ორგანიზაციების კონფერენცია, საბჭო, საბჭოს პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისია თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ იმ წესის მიხედვით, რომელსაც ითვალისწინებს ეს დებულება საზოგადოების ყრილობისათვის, ცენტრალური საბჭოსათვის, ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიისათვის.

35. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ პირველადი ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ამ დებულების შესაბამისად, საზოგადოების წევრთა ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე.

36. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები:

ა) ეწევიან საზოგადოების წევრთა აღრიცხვას;

ბ) განუმარტავენ მოსახლეობას საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

გ) აწყობენ და ატარებენ საზოგადოების წევრთა შორის და მოსახლეობაში ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს მოძრაობის უსაფრთხოების, საავტომობილო და სამოტოციკლეტო ტურიზმისა და სპორტის საკითხებზე;

დ) ქმნიან და აწყობენ ტექნიკურ კაბინეტებსა და კუთხეებს, წრეებს ავტომობილების, მოტოციკლების მოწყობილობისა და ექსპლუატაციის, მოძრაობის უსაფრთხოების წესების შესასწავლად, ავტომობილებისა და მოტოციკლების წვრილმანი რემონტისა და რეცხვის პუნქტებს და ხელმძღვანელობენ მათს მუშაობას;

ე) ხელს უწყობენ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციას, რათა შეასწავლონ მუშებს, მოსამსახურეებსა და მოსახლეობას მოძრაობის უსაფრთხოების წესები;

ვ) ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რათა დროულად მიიღონ საზოგადოების წევრთაგან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და გამოსაღებები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ხელს უწყობენ საზოგადოების წევრთა პირად სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ნებაყოფლობითი დაზღვევის განხორციელებას.

37. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის, გორის, ზუგდიდის და რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების სასოფლო რაიონების ორგანიზაციები მუშაობენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

38. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ორგანიზაციები მუშაობენ საზოგადოების შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

39. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ პირველადი ორგანიზაციები მუშაობენ საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით და თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავენ საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

40. ფულადი დოკუმენტების ხელმოწერის წესს ადგენს ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

V

ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ საბჭოებთან არსებული სექციები

41. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ საბჭოებთან შეიძლება შეიქმნას სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, ორგანიზაციული და სასწავლო მუშაობის, მოძრაობის უსაფრთხოების, ბავშვთა შორის მუშაობის, საწარმოო საქმიანობის, სპორტული, ტურისტული, ტექნიკური, მოდელიზმის ტარების ოსტატობის სექციები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოსა და სექციების მუშაობის წესი განისაზღვრება საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული დებულებებით აღნიშნული საბჭოსა და სექციების შესახებ.

VI

ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ სახსრები

42. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ფულად სახსრებს შეადგენენ:

ა) საზოგადოების შესასვლელი და საწევრო შენატანები;

ბ) საზოგადოების სამეურნეო და საგამომცემლო საქმიანობის შემოსავალი;

გ) ნებაყოფლობითი შენატანები და სხვა შემოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

43 შესასვლელი შენატანები წესდება შემდეგი ოდენობით.

ა) საზოგადოების წევრთათვის;

— ავტომობილის მფლობელთათვის — 5 მანეთი;

— მოტოციკლისა და მოტოროლერის მფლობელთათვის — 3 მანეთი;

— იმათთვის, ვისაც არა აქვს პირად სარგებლობაში სატრანსპორტო საშუალებანი, — 1 მანეთი;

ბ) საზოგადოების კოლექტიურ წევრთათვის—არა უმეტეს 100 მანეთისა.*)

44. ყოველწლიური საწევრო შენატანები წესდება შემდეგი ოდენობით:

ა) საზოგადოების წევრთათვის:

— ავტომობილის მფლობელთათვის — 5 მანეთი;

— მოტოციკლისა და მოტოროლერის მფლობელთათვის — 3 მანეთი;

— იმათთვის, ვისაც არა აქვს პირად სარგებლობაში სატრანსპორტო საშუალებანი, — 1 მანეთი.

ბ) საზოგადოების კოლექტიურ წევრთათვის—არა უმეტეს 100 მანეთისა,*)

45. საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებთან არსებული ჭაბუკთა სექციების წევრები იხდიან მხოლოდ ყოველწლიურ საწევრო შენატანს 30 კაპიკის ოდენობით.

46. საზოგადოების წევრი ინვალიდები, რომლებმაც უფასოდ მიიღეს პირად სარგებლობაში ავტომობილი ან მოტოეტლი სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს გადაწყვეტილებით, შესასვლელი და საწევრო შენატანების გადახდისაგან თავისუფლდებიან.

47. საზოგადოების საბჭოს დადგენილებით პრეზიდიუმს შეუძლია შექმნას სპეციალური ფონდები, რომლებიც იხარჯება საზოგადოების დებულებით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისი მიზნებისათვის. სპეციალური ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

საწარმოო საქმიანობისაგან მიღებულ მოგებას, რომელიც რჩება საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ, და სხვა წყაროებიდან შემოსულ სახსრებს ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარული“ და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები ხარჯავენ საზოგადოების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ღონისძიებათა განსახორციელებლად გეგმითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული წესით.

48. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოს აპარატის შესანახად და ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოები საზოგადოების ცენტრალური საბჭოს განკარგულებაში გადარიცხავენ სახსრებს საბალანსო მოგების თანხის 10 პროცენტამდე ოდენობით. ამ თანხების გადარიცხვის წესს, ოდენობასა და ვადებს განსაზღვრავს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

---

*) განისაზღვრება საზოგადოების შესაბამისი საბჭოს გადაწყვეტილებით დიფერენციულად საზოგადოების წევრთა რაოდენობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო (აო) საბჭოების და ქ. თბილისის საბჭოს აპარატების შესანახად, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და ქ. თბილისში ცენტრალიზებულ ღონისძიებათა განსახორციელებლად საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები ზემდგომი საბჭოების განკარგულებაში გადარიცხავენ საჭირო სახსრებს მოგებიდან საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო და საქალაქო (ქ. თბილისი) კონფერენციების ან შესაბამისი საბჭოს პლენუმის მიერ დაწესებული ოდენობით, მაგრამ აღნიშნულ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების არა უმეტეს 25 პროცენტისა.

49. დიდ ღონისძიებათა დაფინანსების მიზნით საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქ. თბილისის საბჭოებს შეუძლიათ თავიანთ განკარგულებაში თავი მოუყარონ საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ნაწილს. ამ ანარიცხების ოდენობასა და მათი გამოყენების წესს განსაზღვრავს შესაბამისი კონფერენცია ან საზოგადოების საბჭოს პლენუმი.

50. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოსა და ადგილობრივი ორგანიზაციების მთელი თავისუფალი ფულადი სახსრები ინახება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებებში.

VII

საზოგადოების ანგარიშგება

51. საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს დადგენილი წესით წარუდგენენ: ქალაქებისა და რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო (აო) დაქვემდებარების რაიონების, აგრეთვე ქ. თბილისის საქალაქო რაიონების საბჭოების პრეზიდიუმები — საზოგადოების ზემდგომი შესაბამისი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების საბჭოების პრეზიდიუმები — საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს.

52. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ შეჯამებულ წლიურ საბუღალტრო ანგარიშსა და ბალანსს ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

VIII

საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

53. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარული“ წყვეტს თავის საქმიანობას:

ა) საზოგადოების ყრილობის დადგენილებით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

54. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონება გამოიყენება კანონით დადგენილი წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 за 1973 год.

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/III-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16.
საბეჭდი თაბახი 4 სააღრიცხვო თაბახი 4

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

შეკვეთა № 1328 უე 05247 ტირაჟი 1950

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ეროვნული
ბიბლიოთეკა